

ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II-ის
აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლისთავს



Domus Mengrelli.

Hoc præfens edificium seu domus est situm in
villa Mengrelli Regis que dicitur Ager ludii in quo dum
ipse circiter suam Provinçiam per aliquot menses moratur quia
præ alijs Primatus est.



Alcuni particolari di questa casa
sunt di terra di Gori e di mazzette
di paesi alcuni pezzi de terra nel
la caccia di' danti animalia.

სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის სასახლე

დევი ბერძენიშვილი

უცხოელები საქართველოსა
და
ქართველების შესახებ

თბილისი, საქართველო 2008

U P 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

Handwritten text on the left side of the illustration:

Il Mongolo e un
 Ricco Rege e un
 a capo d'abit. per
 tutta il mondo Re
 di Spagna e d'altre
 Re e governa un
 grande ab. grande
 ab. e d'altre cose de
 ab. e d'altre cose
 d'altre cose de
 ab. e d'altre cose


Handwritten text on the right side of the illustration:

Alcun dicit. a quella parte
 de d'altre cose d'altre
 Il d'altre cose de d'altre
 d'altre cose de d'altre
 d'altre cose de d'altre
 d'altre cose de d'altre
 d'altre cose de d'altre

Handwritten text below the illustration:

Magno Dno in Regno
 Βασιλεως Ιωαννου Αρκαδου Βασιλ. Βενετίας.
 R. de G. de
 d'altre cose de d'altre

სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი



ართველი და საზღვარგარეთელი მკითხველისათვის შეთავაზებულ ამ ბროშურაში წარმოდგენილია საქართველოში ნამყოფი უცხოელების შთაბეჭდილებათა ნაწილი კომენტარების გარეშე. მკითხველი შეამჩნევს, რომ, მიუხედავად ქვემოთ მოყვანილ ავტორთა სუბიექტური შეხედულებებისა, საქართველო და ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა ისტორიული პირობების შესაბამისად; ეს ცვლილებები არ ყოფილა ყოველთვის სასიკეთო. არც ისაა შემთხვევითი, რომ უძველესი დროიდან დღემდე ჩვენი ძლიერი მეზობლები გაუძღმებით ცდილობდნენ ქვეყნის მიტაცებას მთლიანად თუ ნაწილ-ნაწილ...

ძვ. წ. V ს-ის ბოლოს ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტი სპარსელთა შინაომში ბერძენ მოქირავნეთა ლაშქარში იბრძოდა. არტაქსერქსე II-ის გამარჯვების შემდგომ, სტრატეგოსად არჩეულმა ქსენოფონტმა, 10000-იანი ჯარით საბერძნეთს მიაშურა. გზად მან ქართველი ტომებით დასახლებულ ადგილებზე გამოიარა. სხვებთან ერთად ის იხსენიებს ტაოხების მეომარ ტომს (შუა საუკუნეებში ქართული ტაო ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია): ელინებს „შემოაკლდათ სანოვაგე, რადგან ტაოხები ცხოვრობდნენ მიუვალ სიმაგრეებში და მთელი თავისი სურსათი იქ ჰქონდათ ატანილი... ელინები მივიდნენ ერთ გამაგრებულ ადგილთან, რომელიც ქალაქი არ იყო და სადაც შენობებიც არ მოიპოვებოდა, თუმც იქ თავი მოეყარათ მამაკაცებს და ქალებს მრავალ პირუტყვთან ერთად. ხეირისოფოსი მისვლისთანავე თავს დაესხა მას... იქ კი ელინები მოწმენი გახდნენ საზარელი სანახაობისა: ქალები ისროდნენ ბავშვებს უფსკრულში და თვითონაც თან მიჰყვებოდნენ; ასევე იქცეოდნენ მამაკაცებიც. ამ დროს ლონგოსმა (ბერძენთა ჯარის ერთი ქვედანაყოფის უფროსმა) დაინახა ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი უფსკრულში გადასავარდნად რომ მიისწრაფოდა, ეცა მას შესაჩერებლად, მაგრამ მან თან წარიტაცა იგი და ერთიც და მეორეც გადაეშენნენ კლდიდან და დაიღუპნენ. აქედან ხალხი ძალიან ცოტა წაიყვანეს, სამაგიეროდ, წაასხეს მრავალი ხარი, სახედარი და ცხვარი“.

ცხადია, რომ ტყვეობასა და მონობას ტაოხები სიკვდილს ამჯობინებდნენ.

დრილების შესახებ ქსენოფონტი წერს: „როდესაც ელინები ამ მთიან ქვეყანაში მივიდნენ, დრილებმა გადაწყვეს და მიატოვეს ის სიმაგრეები, რომლებიც, მათი ფიქრით, ადვილად

ასაღები იყო... ერთი სიმაგრე მათი დედაქალაქი იყო. იქ მოეყარა თავი სუყველას. მას გარშემო ღრმა ხრამი ჰქონდა და სიმაგრე მისადგომად სახიფათო იყო... როცა ელინებმა ბრძოლით ვერ შეძლეს სიმაგრის აღება, რადგან მას გარშემო განიერი ორმო და მიწის ყრილი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ამ ყრილზე აღმართული იყო მესერი და მრავალი ხის კოშკი, განიზრახეს გასცლოდნენ მას... ქსენოფონტმა და ლოხაგოსებმა დაიწყეს მსჯელობა იმის გამო, შეიძლებოდა თუ არა მწვერვალის აღება... დათვალეერების შედეგად დაასკვნეს, რომ სიმაგრე სრულიად შეუვალია. მაშინ დაიწყეს მზადება უკანდასახევად...“

ძველი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ. წ. I ს. – ახ. წ. I ს.) ვრცლად აღწერს მისი დროის იბერიაში (აღმ. საქართველო) შემოსასვლელ გზებს ოთხივე მხრიდან: „ქვეყანაში არის ოთხი შესასვლელი: ერთი არის კოლხურ ციხესიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწრობაზე, რომლებზედაც ფაზისი მიმდინარეობს, სწრაფი და ხმაურა მიემართება კოლხიდაში (რომელზედაც (ე. ი. ფაზისზე) 120 ხიდით გადაისვლება მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო)... ხოლო დაბლობში დებულობს სხვა მდინარეებს, რომელთა შორის არის გლაკოსი (ყვირილა) და ჰიპოსი (ცხენისწყალი): გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი, ჩადის პონტოში. (ფაზისზე) არის ქალაქი მსგავსი სახელისა და მახლობლად – ტბა (ამჟ. ფოთი და პალიასტომი).

ჩრდილოეთის მცხოვრები მომთაბარეებიდან დაახლოებით სამი დღის ძნელი ამოსასვლელია, ხოლო ამის შემდეგ არის საცალაფეხო გზა მდინარე არაგოსის ვიწრო ხეობაში, დაახლოებით ოთხი დღის (სავალი), ხოლო გზის ბოლოს ძნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული.

ალბანიიდან შემოსასვლელი ჯერ კლდეებში არის გამოჭრილი, ხოლო შემდეგ გადადის ის ჭაობზე, რომელსაც ქმნის მდინარე ალაზანიოსი, გამომდინარე კავკასიონის (ქედიდან).

ხოლო არმენიიდან (შემოსასვლელი) არის მტკვრის ვიწრობაზე და არაგოსისაზე, ვიდრე ერთმანეთს შეერთვის (ეს მდინარეები). იმ ადგილას მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეებზე, რომლებიც დაცილებული არიან ერთმანეთს დაახლოებით 16 სტადიონით; მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხოლო მეორეზე (ე.ი. არაგოსზე) – სევსამორა“.

იბერიელთა შესახებ სტრაბონი აღნიშნავს: „დაბლობზე ცხოვრობენ იბერიელთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან (იცვამენ, იჭურვებიან). უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიც და ნათესავებიც არიან, თუმცა ეწევიან მიწათმოქმედებასაც და, როდესაც ჩამოვარდება შფოთი, თავისი და მათი სახსრებით გამოჰყავთ მრავალი ათასი (მებრძოლი)“.

იგივე ავტორი კოლხეთის შესახებ ამბობს: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადჰყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე, და ამაზე უწინ კი – ფრიქსეს (ლაშქრობაზე).

ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკვატუხიებად დაყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება; ხოლო როცა მითრიდატე ევპატორის (პონტოს მეფე) ძალაუფლება მნიშ-

ვნელოვნად გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა ქვეყანა: იგზავნებოდა მის მეგობართაგანი მმართველად და გამგებლად ქვეყნისა. ამათგანი იყო მოაფერნეც, ჩემი დედის ბიძა მამის მხრიდან; აქედან იყო, რომ მეფეს მოსდიოდა მეტი წილი ძალებისა სანაოსნო სამსახურისათვის“.

ჩრდილო კოლხეთის ერთ-ერთ ტომთა კავშირს სტრაბონი სვანების სახით აღწერს: „(სვანები) თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ; ფლობენ ისინი ირგვლივ (ყველაფერს) და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის. ჰყავთ მათ ბასილეესი და საბჭო, 300 მამაკაცისაგან შემდგარი და, როგორც ამბობენ, კრებენ ლაშქარს 200000 (კაცის რაოდენობით). მართლაც, მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არაორგანიზებული. ამასთანავე, ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ (ოქროს) დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე... სვანები (ისრის) წვერებისათვის წამალს ხმარობენ და საოცრად იტანჯებიან მისი სუნისა გამო მოუწამლავი ისრებით დაჭრილებიც კი“.

იბერთა ტომების შესახებ გეოგრაფოსი წერს, რომ „მათ აქვთ მდიდარი ქვეყანა და განსაკუთრებით ვარგისი კარგად დასასახლებლად. მართლაც, იბერია კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც, ისე რომ, იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები, არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო (დაწესებულებანი)... კავკასიონის... მეტისმეტად ნაყოფიერი ტოტები მიემართებიან სამხრეთისაკენ, მოიცავენ მთლიანად იბერიას და აღწევენ არმენიასა და კოლხიდას. შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული, უდიდესი (ამ მდინარეთა შორის) არის მტკვარი“...

ავტორი აღგვიწერს იბერიის საზოგადოების სოციალურ აღნაგობასაც: „ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი (გვარია) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ, მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე (გვარი) არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი“.

II-III საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასიოსი „რომის ისტორიაში“ იხსენიებს იბერიის მეფე ფარსმან II-ს (ქართული წყაროები „ფარსმან ქველი“, ე. ი. მამაცი), რომელიც ახ. წ. II ს-ში სწვევია რომს: „... როცა ფარასმანე იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა, ანტონინე პიუსმა (რომის იმპერატორი) გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე (მარსის ველზე) დაადგმევინა და უყურებდა ფარასმანეს, მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებულ იბერთა სამხედრო ვარჯიშობას“.

გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოსი და რიტორი IV ს-ისა თემისტოისი ასე მიმართავდა თანამემამულე პროვინციელ ჭაბუკს: „მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის

ნაყოფნი მოვწყვიტე... პონტოს ბოლოში, ფაზისის (ამჟ. ფოთი) მახლობლად... ასეთი... ადგილი... სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად... იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი... მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა... მე კი ფილოსოფიის საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული“. თემისტოსის მამა – ევგენიოსი ფილოსოფიის განთქმული მასწავლებელი იყო კონსტანტინოპოლში.

VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღწერს ძველი კოლხეთის, მისი დროის ლაზიკის (ამჟ. იმერეთის) ცენტრალურ რაიონს: „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს (ამჟ. ნოქალაქევი) დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწა-წყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას. ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი; მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუვიათ ციხე... ამჟამად მას ლაზები ქუთათისს ეძახიან... ამბობენ, ძველს დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო; აქაური იყო აიეტი (არგონავტთა თქმულების მიხედვით, კოლხეთის მეფე), რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ“.

იგივე ავტორი სამხრეთ საქართველოს შესახებ აღნიშნავდა: „მესხეთის მთები არც მწირია და არც ნაყოფიერებას მოკლებული, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მარჯვე მიწისმუშები არიან და იქ ვენახებიც არის“.

550 წ. ბიზანტია-ირანის ომის დროს ლაზები ბიზანტიელთა მხარეს იბრძოდნენ, პროკოპი კესარიელის ცნობით: „ლაზები ვერ თვლიდნენ შესაძლებლად რომაელებთან ერთად დარაზმულიყვნენ. ისინი აყენებდნენ დებულებას, რომ რომაელები ბრძოლაში წასვლით არც სამშობლოსათვის იგდებდნენ თავს საფრთხეში, არც ნათესავებისათვის, მათ კი საფრთხე მოელოთ შვილებისთვის, ცოლებისთვის და სამშობლო ქვეყნისთვის. ასე რომ, იმათ თავიანთი ცოლებისა უნდა შერცხვით, თუ მოწინააღმდეგეებისაგან დამარცხებული იქნებიან. ამიტომ ისინი აუცილებლად თვლიდნენ, მოეპოვათ ვაჟკაცობა... იმათ ძალიან უნდოდათ, რომ პირველი სძვებოდნენ მარტონი მტერს, რათა მათთვის ხელი არ შეეშალათ რომაელებს, რომელნიც მათსავით არ იყვნენ აღფრთოვანებულნი სახიფათო ბრძოლაში... გუბაზს (ლაზების მეფეს) ძალიან გაუხარდა, მოუხმო მათ... და ასე მიმართა: ... „თქვენ კარგად იცით, რომ წინ აღარაფერი უდგება სპარსელების ანგარებას, როდესაც მათ ეს შეუძლიათ; თუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, არცთუ მხოლოდ დაგვიმორჩილებენ ან ხარკს დაგვადებენ, ან სხვა რამესაც დაისაკუთრებენ... დაე, ნუ აღიგვება სახელი ლაზთა. ძნელი არ არის, ვაჟკაცობა, მიდთა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვებია მათზე ხელჩართულ ბრძოლაში. მიჩვეულისათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სიღუბნით წინდაწინვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით... ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ, ვეღარ აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში

და შეებრძოლეთ მოწინააღმდეგეს, აღვსილნი კეთილი იმედებით“. ლაზთა და ბიზანტიელთა ლაშქარმა ამ ბრძოლაში გაიმარჯვა.

VI ს-ის II ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ამბობდა: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენდნენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობდნენ; ამაყობდნენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არცთუ ისე უსაფუძვლოდ... იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორცხული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმძლავრით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით, და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით“.

VI ს-ის II ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე პროტიქტორი წერდა: სპარსეთის მეფეს „იმედი ჰქონდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ის სათანადოდ მოაწყობდა პერსარმენიისა და იბერიის საქმეებს. ეს მიწები ხომ მეტად ნაყოფიერი იყო და დიდ გადასახადებს იძლეოდა. ამის გამო სპარსელთა მეფე თანახმა იყო შეეწყვიტა ომი“.

VII ს-ში ჰერაკლე კეისრის მოკავშირე ხაზარებმა თბილისი აიღეს და გაძარცვეს. მტრის მიერ აქ მოპოვებულ სიმდიდრეზე სომეხი ისტორიკოსი მოვსეს კალანკატვაცი წერს: „მაშინ ხელთ იგდეს ყუთები განძით სავსე, მთელს სიმრავლეს ჯარისას ზურგით მიჰქონდა ისინი და თავიანთი მბრძანებლის წინაშე ახვავებდა ერთმანეთზე. იმდენ ხანს მიჰქონდათ ისინი მის წინაშე, რომ ყურებაც კი მოსწყინდა ოქროსა და ვერცხლის ფულების ურიცხვი სიმრავლისა. ხოლო ვინ მოსთვლის მარგალიტის ქვებით მოჭვვილ საეკლესიო სამკაულსა და ჭურჭელს“. მათვე გაუტანიათ „ჭიქები და სასმისები ვერცხლისა ოქროს ქანდაკებებით მოჭვდილნი, რომელნიც ნადავლად წამოუღიათ თბილისიდან“.

X ს-ის არაბი გეოგრაფოსი ისთაჰრი თბილისის შესახებ ამბობდა, რომ ის „სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიან-ნათესებია. მრავალგვარი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ აქედან. აქვს თბილი წყლები, მსგავსად ტიბერიისა, უცეცხლოდ ცხელი. მთელს არანში (ამიერკავკასიის აღმ. ნაწილი) ბარდავზე, დარუბანდზე და ტფილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობს“.

იმავე საუკუნის მეორე არაბი ავტორი, რომელმაც თბილისი ინახულა, არის იბნ ჰაუკალი. აი, მისი აღწერილობა: „ტფილისი სიდიდით ბაბ-ულ-აბვაბზე (ამჟ. დარუბანდი) ნაკლებია. მას გარს შემოვლებული აქვს ორმაგი თიხის კედელი სამი კარით; ეს არის ნაყოფიერი, გამაგრებული, სურსათ-სანოვავით მდიდარი, ფასების თვალსაზრისით იაფი ქალაქი. თავისი კეთილდღეობით იგი აღემატება სხვა მდიდარ სახელმწიფოებსა და ნაყოფიერ ქვეყნებს. ერთმა კაცმა, რომელსაც იქ თაფლი უყიდა, მიაბო, რომ მან ერთ ღირჰემად ოცი ლიტრა შეიძინა. ეს ქალაქი წარმოადგენს მნიშვნელოვან სასაზღვრო ოლქს, რომელსაც ყოველი მხრიდან უამრავი მტერი ეხვევა. იქ არის ისეთივე აბანოები, როგორც ტივერიადაში. მათი წყალი უცეცხლოდ ღულს. ქალაქი მდებარეობს მდინარე მტკვარზე. ტფილისში მცურავი

Mirabile Templum

Praegrandissima & Antiquissima haec Ecclesia dicitur constructam esse à Sancto Andrea Apostolo qui predicavit in illis partibus sanctum Christi Evangelium ubi sive in provincia dicta Lubus, secus quam Ecclesiam dicitur Sancta Maria Periota habitare Princeps Abazarum dicitur Regulus Graecia vocatur & Antonomastion Pergandis Princeps qui dicitur michi perhibere Ecclesiam, ut illam colerem eam Missionarijs nobis in qua Ecclesia cum non veneratur, seu ut melius dicitur devotio estet propter indigentiam eorum sola antiqua Cru... reperimus in ead.

Myst...

Beatus Caros Princeps Abazarum

*In quibus dicitur haec ecclesia
Constructa fuisse à
Sancto Andrea Apostolo in
partibus ubi sive in provincia
dicta Lubus, secus quam
Ecclesiam dicitur Sancta
Maria Periota habitare
Princeps Abazarum dicitur
Regulus Graecia vocatur &
Antonomastion Pergandis
Princeps qui dicitur michi
perhibere Ecclesiam, ut
illam colerem eam
Missionarijs nobis in qua
Ecclesia cum non
veneratur, seu ut melius
dicitur devotio estet
propter indigentiam
eorum sola antiqua
Cru...*

Lucas

*Lucas
Lucas*

*Sancti Andrea Apostoli
in provincia dicta
Lubus, secus quam
Ecclesiam dicitur
Sancta Maria
Periota habitare
Princeps
Abazarum dicitur
Regulus Graecia
vocatur & Antonomastion
Pergandis Princeps
qui dicitur michi
perhibere
Ecclesiam, ut
illam colerem
eam
Missionarijs
nobis in qua
Ecclesia cum
non veneratur,
seu ut melius
dicitur devotio
estet propter
indigentiam
eorum sola
antiqua Cru...*



DE SANCTA ECCLESIA

Aliud Templum oblatum nostris Missionarijs ut id si placeret eis colerent à Principe dicitur Bassaco Graecia Abaza in illa villa situm quae dicitur Lam quod Templum indominat est aequaliter Religionum specie Christianae aut haereticae aut idolatrae contradictione nobis Opus facile profectus esse in illis solum facile est colere posse ac illi Graecis in ordine hominum factores denuo si consulerem ista vellem colere libenter nos taceam quanta Charitate predictus Princeps rogaretur ut sibi illos faceret miterem in defectu nostrorum.

*M. Antonius Abazarum
Causa in Italia sicut*

*Causa illa Domini Andrea Apostoli in Provincia
Graeciae in Italia sicut
Causa illa Domini Andrea Apostoli in Provincia
Graeciae in Italia sicut*

T. 1. 18.

Suani. de Monti

+ D. D. J. G. D. D. A. A. A.

**Il Dominio de nostri Padri in Oriente comincia da Costantinopoli
Sino all'Indie, e loro sono li ueri e legitimi Pastori di quelle parti.
di molte nouelle pecore
con loro greggi.**

*Parce-bata d'Algeria...
Squid... d'Algeria...*

*Questo libro e un libretto...
di... di... di...
la... di... di...
che... del... di...
e... di... di...
d'Algeria... di...
e il paese.*



Algeria...

*Contra Regem...
...
...*

*...
...
...*

...

...

წისკილებია, რომლებიც ფქვავენ ხორბალსა და პურის მარცვალს, როგორც მოსულში... ტფილისის მცხოვრებლებს შორის უცხოელი უშიშრად გრძნობს თავს და მათი გულუხვობით სარგებლობს. ისინი მეგობრულად არიან განწყობილნი მათ მიმართ, ვინც მათთან შემთხვევით მოხვდება და ვისაც რაიმე, თუნდაც მცირე, გულისხმიერება ან ცოდნა აქვს მეცნიერებისა. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ მეცნიერებას გადმოცემების შესახებ და პატივს სცემენ მათ, ვინც ამ მეცნიერებითაა გატაცებული“.

XII ს-ში საქართველო ამიერკავკასიის უძლიერესი ქვეყანა გახდა. მეფე დავით აღმაშენებელი ქვეყნის წარმატებათა სიმბოლო იყო.

XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი წერდა: „დავითმა გააფართოვა საქართველოს საზღვრები, შემოიერთა უხტიქი (ამჟ. ოლთისი, თურქეთში) და მისი მოსაზღვრე რაიონები – გაგი, ტარუნაკანი, ტავუში, კაიანი, კაიწონი, ლორე, ტაშირი, მაჰკანაბერდი, დაიმორჩილა მთელი სომხეთის სამეფოები... კავკასიის მთა, სვანეთის სამეფო, მრატული, კლარჯეთი, დვალეთი, ჰერეთი კასპიის ზღვამდე, ჰაბანდამდე და ქალაქ შაპურანამდე... ქართველებიდან შეარჩია 40 ახალგაზრდა, გაგზავნა საბერძნეთში ენების შესასწავლად და თარგმანების შესასრულებლად, რაც მათ შეასრულეს. სამი მათგანი საუკეთესო და აზრიანი აღმოჩნდა, იქმნა ერის მშვენიებად“...

XII ს-ის სომეხი ისტორიკოსი – მათეოს ურჰაეცი აღნიშნავდა: „... მეფე დავითი იყო მამაცი და ძლიერი სპარსეთის წინააღმდეგ მიმართულ ომებში. მან მრავალჯერ სძლია უცხოთა ჯარებს და დაამხო მთელი მათი ძლიერება. მრავალი და სახელოვანი მხარენი აიღო სპარსთაგან მახვილითა და ძალით... იყო მეფე დავითი წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთისმოსავობით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი... დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი... მან გაათავისუფლა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანი, რომელიც 10 წელს იმყოფებოდა ტყვეობაში, აგრეთვე საკვირველი და დიდებული ეკლესია ანისა – წმინდა კათოლიკე, რომელიც მიზვითად ექციათ. შეიკრიბა სომეხთა ქვეყნის ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მოწესენი და აკურთხა წმინდა კათოლიკე დიდის ზემით“.

ირანელი პოეტი ხაკანი 1172 წ. დაწერილ ერთ-ერთ თავის ხოტბაში ამბობდა: „საქართველოს კარები ღიაა ჩემთვის, მე გავემგზავრები ნაჭარმაგევს და მუხრანს (ადგილებია ქართლში, სადაც სამეფო სადგომები იყო), ბაგრატიონთა შორის მე ვიპოვნი თავშესაფარს...“

ხაკანის მოწაფე ფელეკი შირვანი საქართველოს მეფე დემეტრე I-ზე წერდა, რომ „63 წლის განმავლობაში ის თავისი ნიჭით, ცოდნით და ვაჟკაცობით, ყოველდღე ახალ წესრიგს ამყარებდა ამქვეყნად და დროებას შიკრიკის დარად, მუდმივად მოჭქონდა მასთან ცნობები დაპყრობებსა და გამარჯვებების შესახებ“.

XIII ს-ის სპარსული ანონიმური გეოგრაფიული თხზულების „სამყაროს საკვირველ-ბათა“ ერთი ცნობა მაშინდელ თბილისს ასე აღწერს: „თბილისი დიდი გამაგრებული ქალაქია. ძნელად მისავალ ხეობაში მდებარეობს. მდინარეზე, ქალაქს შუაზე რომ ჩაუდის, დიდი ერთმალაიანი ხილია გადებული. ხილთან ბევრი სავაჭროა მოწყობილი. ქალაქის პირდაპირ კეთილმოწყობილი ციხეა. მეფეთა სასახლეები ციხეშია აგებული. ციხეს ბევრი გოდოლი აქვს დატანებული. წყალი ციხეს ძალიან ახლოს ჩაუდის... თბილისი... მუსლიმებს ეჭირათ, ახლა კი უკვე დაახლოებით ას ათი წელია, რაც ქართველები ფლობენ... თბილისში ბევრი წისქვილი აუგიათ და წყალზე უყენიათ ჯვავებით დამაგრებული... და სიკეთით აღსავსე ბევრი ბაღია. ქალაქში სამოცდახუთი აბანოა. ყოველი მათგანის წყალი უცეცხლოდ ცხელი შეუქმნია მაღალ ღმერთს. იქ აბანოს საფასურს არ იხდიან. იქაურ ქალებს ქუდები ხურაეთ, ღუქნებთან სხედან და სახეს არ იფარავენ, გარდა მუსლიმებისა.“

იქაური საქონელია უნაგირები, სპილოს ძვლით გაწყობილი ლაგმები, კაპარჭინები და ხილიფები; თაფლი, შეკაზმული ტკბილეული, ცვილი, ბევრი ბროწეული; თახვი, წყლის ძაღლი; მონა ვაჟები და ქალები; მინა, ფიალები და კარგი ბროლის ნაწარმი“.

1226 წ. თბილისი აიღო და ააოხრა ხორეზ შაჰმა ჯალალ ად-დინმა. მისი ცხოვრების არაბი აღმწერი ან-ნასავი მოგვითხრობს თბილისის შესახებ: „სულთანმა მიიღო ყველაფერი, რაც ქალაქში საუკუნეთა განმავლობაში გროვდებოდა. ყველაფერ ამას ვერ გადათვლიდა ყველაზე მცოდნე, დახელოვნებული ადამიანის თითებიც კი, ხოლო ნუსხები ვერ დაიტევდნენ მათ ჩამონათვალს“.

XIV ს-ის არაბი ავტორი ალ-უმარი საქართველოს შესახებ აღნიშნავდა: „ქართველთა ქვეყნის დედაქალაქია თბილისი... იგი დიდი ქვეყანაა და სახელგანთქმული სახელმწიფოა... მას ჰყავს მეფე და მეფობა იქ მუდმივია... ქართველების მიწა-წყალი ვრცელია, მის სანახებში ბინადარი მოსახლეობაა და არიან მომთაბარენიც, რომლებიც გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე... რაც შეეხება ქართველთა ლაშქარს, იგი მტკიცედ დგას ჯვრის სარწმუნოებაზე და გულადი და მამაცი ხალხია... ისინი ჰულაგუიანთა ლაშქრის ძალას და სიმდიდრეს წარმოადგენენ“.

საქართველოში თემურლენგის შემოსევების გამო, XIV ს-ის ბოლოს, მისი ისტორიკოსი მონი ად-დინ ნათანზი წერდა, რომ საქართველოს მეფე „გამუსლიმანების შიშით შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდა და ამ სიჯიუტეს ათეული ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა“-ო.

XIV-XV ს-თა მიჯნის ესპანელი დიპლომატი რუი გონსალეს დე კლავიხო თავის დღიურში აღნიშნავდა: „ქართველები კარგი აგებულებისა და ლამაზი სახის ხალხია. მათი რელიგია ბერძნულია, ენა კი – განსაკუთრებული“.

XV ს-ის იტალიელი მოგზაური კატერინო ძენო აღნიშნავდა, რომ ირანის შაჰი ისმაილი

სამხედრო მოქმედებისას „ხედავდა... თავისი ძალების სისუსტეს და... დახმარება სთხოვა იმ ქვეყნის მეზობელ ზოგიერთ ქართველ ქრისტიან მბრძანებელს... ისინი ძალიან მებრძოლნი არიან. ქართველები ისინი არიან, ვინც უძველესი დროიდან იბერებად იწოდებიან და იქიდანვე ქრისტიანები არიან, ისევე როგორც ამჟამად, გამუდმებით ებრძვიან თურქებს ტრაპიზონის საზღვარზე“.

იმავე საუკუნის მეორე იტალიელი მოგზაური ჯოსაფატ ბარბარო საქართველოსა და ქართველების შესახებ წერდა: „ამ ქვეყნის მეფეს ბაგრატი ჰქვია. მას აქვს ქვეყანა მშვენიერი და მდიდარი პურით, ღვინით ხორციით, შვრიით და სხვა მრავალი ნაყოფით. ვაზს უმეტესად ხეზე უშვებენ, როგორც ტრაპიზონში. ხალხი ლამაზი და ახოვანია, მაგრამ უცნაური ზნე-ჩვეულებანი აქვთ. თმას იკრეჭენ, ან იპარსავენ ისე, რომ ირგვლივ იტოვებენ მცირეოდენ თმას... ატარებენ უღვაშებს, რომლის ბეწვებს წვერზე დაბლა იზრდიან... თავზე ატარებენ სხვადასხვა ფერის ქუდებს, რომელთაც წვერში ჯილა აქვთ. ტანთ აცვიათ ძალიან გრძელი, მაგრამ ვიწრო და საჯდომამდე გახსნილი ქურთუკი, იმიტომ რომ სხვანაირად ვერ შეძლებენ ცხენზე ჯდომას. ამის გამო მე მათ ვერ გავკიცხავ, რადგან მინახავს, რომ ფრანგები ახლაც ხმარობენ მსგავს ქურთუკებს... ამ მხარეში ძალიან მთები და ბევრი ტყეებია. არის ქალაქი თბილისი, რომლის წინ მიედინება მდინარე... ეს კარგი ქალაქია, მაგრამ ნაკლებადაა დასახლებული“.

XVI-XVII ს-ების ყიზილბაში ისტორიკოსი, სეფიანთა კარზე მოღვაწე ისქანდერ მუნში, ქართველთა მეფე ლუარსაბ I-ზე (1527-1556) წერდა: „საქართველოს მეფეთა შორის ლუარსაბი გამოირჩეოდა თავისი მამაცობით და გულადობით. ამიტომ ის მუდამ იჩენდა ურჩობას და ამაყობას და თავს არ სდებდა მორჩილებისა და მოხარკეობის უღელში. თუმცა ცდილობდა... შაჰი მის განადგურებას, რამდენჯერმე გაილაშქრა კიდეც საქართველოზე... მაგრამ რადგანაც ჯერ არ შესრულებულიყო ლუარსაბის სიცოცხლის ზომა, ის ხელთ ვერ ჩაიგდეს“. 1556 წ. ქართველებმა ყიზილბაშები დაამარცხეს, „ქართველები დაედევნენ ლაზიებს. ყიზილბაშებიდან რვაასამდე კაცი დაიღუპა მოწამებრივი სიკვდილით.“

ლუარსაბი სახარების მკითხველი მღვდლების ჯგუფით ერთ ბორცვზე იდგა. მოჰამედ-სულთან მირჩინი ლაზიების მცირე რიცხვით მას შეეჩეხა. ძალაუნებურად წაეკიდნენ ამ ჯგუფს და ბრძოლა იწყეს. ლუარსაბმა „გამბედაობისა და მამაცობის ცხენი გააბრწყინა“ და მოჰამედ ჩინის ეძგერა. ღვთის განგებით ცხენი წაექცა და ლუარსაბი ცხენიდან გადმოვარდა. ჩინის ერთ-ერთმა ლაზიმ... რამდენიმე მომაკვდინებელი ჭრილობა მიაყენა მას... ქართველებმა ხსენებული... რამდენიმე სხვა ლაზისთან ერთად მოკლეს“...

იგივე ისტორიკოსი შაჰის კარზე, ირანში მოხვედრილ ქართველზე მოგვითხრობს: „სიაომბეგ ქართველი სამოთხეში განსვენებული შაჰის ღოღამი იყო. მისმა უდიდებულესობამ მისი ნიჭი შენიშნა და მხატვრობის შესასწავლად მიაბარა. ოსტატ ალი მოსავერის მოწაფე იყო. როდესაც ის რამდენადმე დახელოვნდა ამ მეცნიერებაში, მისი ყალმის მოხდენილობამ მიიპყრო უკეთილშობილესი შაჰის ყურადღება... მასზე ითქმოდა ყურანის სიტყვები: „საუკეთესოდ გამოვხატე თქვენი სახე“. მან დიდ წარმატებას მიაღწია, ფრიად ნაზი ყალამი ჰქონდა. დეტალების დიდი ოსტატი და შეუდარებელი მხატვარი იყო. კონტურულ ხატვაში,


მთების გამოხატვისა და თმის დახატვაში მას ვერც ერთი ოსტატი ვერ შეედრებოდა. ჯგუფის („მეჯლისის“) ხატვა მისი უნაკლო იყო. ისმაილ-მირზას დროს ის წიგნთსაცავის გამგე გახდა“...

ისქანდირ მუნში კახეთის მეფე ალექსანდრეს ასე ახასიათებდა: „ალექსანდრე-ხანი თავისი სწორი მსჯელობით, გამჭრიახობით უგამოჩინებულესი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის და ეშმაკობისა და მოხერხების მხრივ ბებერი ძველი იყო“.

ავტორი აღწერს უფლისწულის ტახტზე ასვლის ცერემონიას: „ქართველების წესი და კანონი ისეთია, რომ, როცა ამ დინასტიის რომელიმე უფლისწული თავისი სამკვიდრო სამეფოს ტახტზე ადის, ერთ-ერთი მათი ბერი, რომელიც ქრისტიანების კანონის მიხედვით, ამ ხალხის მოძღვარია, ქართველების წარჩინებულ და მსცოვან პირებთან ერთად ოქროქსოვილ ხალიჩას გაშლის, მას ამ ხალიჩაზე დასვაძენ თითოეული მათგანი ხელში აიღებს ოქროსა და ვერცხლის ფულით სავსე თაბახს და როცა მეფისწული ფეხს შედგამს ხალიჩაზე, ისინი თავზე დააფრქვევენ თაბახით ოქროს, მის წინაშე მუხლს მოიდრეკენ და მოაწოდებენ თასს“.

ისქანდირ მუნში თბილისის ციხეზე წერს: „თბილისის ციხე მდებარეობს ერთი მაღალი მთის კალთაზე. ერთ მხარეზე, სადაც ნარინ-ყალა არის, პლეადის ვარსკვლავებამდე აქვს თავი აღმართული... ქალაქისა და ციხის ნაკრძალ ზოლში, სადაც (მტკვრის) წყალი ჩაივლის, კლდოვანი ნაპირი ამალღებულია და მის პირდაპირ მაღალი მთაა აღმართული, ძალიან მაგარი ხიდია გადებული, თბილისიდან საქართველოს ვილაიეთში ამ ხიდით დაიარებიან. ასეთი დიდი მდინარე, რომელიც მთელს მსოფლიოში ცნობილ მდინარეთა რიცხვს ეკუთვნის, ამ ხიდის ქვეშ გადის. ქალაქი თბილისი ამ ხიდის დასავლეთ მხარეზე მდებარეობს. მრავალი წყარო და ურიცხვი ნაკადული გამოდის ამ მთიდან და მათგან დაახლოებით სამოცდაათი-ოთხმოცი წყარო ცხელია. ძველ დროში ყოველი ხელმწიფე, მუსლიმანი თუ ურჯულო ქართველი, ამ ცხელ წყლებზე გუმბათებს აგებდა და ბანაობდა იქ. ამ ქალაქის ხალხის აბანოებს მხოლოდ ცხელი წყლის აბანოები წარმოადგენდნენ. რამდენიმე აბანო ციხის შიგნითაა, უმრავლესობა მის გარეთ არის. დღეს არსებობს დაახლოებით ოცდაათი-ორმოცი აბანო, ზოგი მოქმედია და ზოგიც შეიძლება ამუშავებულ იქნეს. ციხის კოშკები ისეთი მაღალია, რომ ცის სფეროს უთანასწორდებიან. ქვეყნის ვერც ერთი სახელმწიფოსათვის ვერ წარმოიდგინება ამ ციხის დაპყრობა, რადგან სამი მხრიდან მას ცამდე აღმართული მაღალი მთები აკრავს, ერთ მხარეს მდინარე მტკვრის წყალი ჩამოუდის და ამიტომ ისეთი ადგილი, რომ იქ ჯარი დადგეს ციხის ასაღებად... არ არის... იმ ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა... ქრისტიანებია, ცოტაოდენი მუსლიმანებიც არიან. ქრისტიანების ეკლესიები და სალოცავები, უმთავრესად ძველები, ამ ქალაქში და მის სანახებში ბევრია“.

იგივე ავტორი ქართველებსა და მის მეფე ლუარსაბ II-ზე (1606-1614) წერს: „ხსენებული ლუარსაბი კარგი შესახედავი, მშვენიერი სახის მოხდენილი ყმაწვილი იყო. ჩვიდმეტი წლისა იყო, შაჰს რომ ეახლა. ჭეშმარიტად, ქართველ ბატონიშვილთა უმრავლესობა, ის კი არა, იმ ქვეყნის მთელი ხალხი, მამაკაცები და ქალები, ჰავის სინაზის გამო, ნატიფ ღაწვითა და ლოყათა სიტურფით და სინარნართ, ნაკვთებისა და ხალების შემკულობით, სხვა ადგილებისა და ქვეყნების ხალხებს სჯობია. ყველანი ჰურთას მსგავსნი და იოსებ



ბაზრობა ეკლესიასთან

მშვენიერის დაწვთა მქონენი არიან, მოსეს შუქმფენი ხელის სხივები გამოკრთის მათი სახიდან და ქრისტიანული სასწაული ცხადად ჩანს მათი ენატკბილობიდან და საამო ქცევიდან. თუმცა იმ ქვეყანაში ქრისტიანობა გავრცელებული და ეს ხალხი მოკლებულია ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მაგრამ თავისი სილამაზით, ჰავის სიკეთით და ადგილის უმწიკვლობით და აყვავებულობით მას ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით, უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს. ვინც ნახა ის მხარე, მათი მოწმობანი ადასტურებენ ამ ქვეყნის სიმშვენიერეს“.

შაჰ-აბასის 1614-1617 წლების შემოსევათა შედეგად კახეთი ისე აოხრდა, რომ ისქანდერ მუნშის სიტყვით: „ქართველი მოსახლეობიდან იმ მხარეში აღარავინ დარჩა... მოსახლეობის სუნიც კი არსად იყო დარჩენილი... ისეთი ქვეყანა, რომელიც ყოველწლივ ურიცხვ სარგებლობას და შემოსავალს იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული“.

XVII ს-ის I ოცეულში სპარსელი ისტორიკოსი მალიქ შაჰ-ჰუსეინ სისტანი, შაჰ-აბასის ამალასთან კახეთში იმყოფებოდა. ამ ქვეყნის აოხრებამდე მას უნახავს, რომ „მთათა ფერდობებიდან მდინარე ალაზნამდე ყველგან სოფლები იყო გადაჭიმული, ნათესი ყანები, ქალაქები, მაღალი და დიდებული ნაგებობანი, ტაძრები და ეკლესიები“ ყოფილა. „ქიზიყისა და ალავერდის მიდამოები, ასევე ალაზნის მარცხენა სანაპირო ზაგემის საზღვრამდე სულ დასახლებული და კეთილმოწყობილი იყო. სამი თვის მანძილზე შაჰი მგზავრობდა კახეთის ადგილებში და ნადირობდა. მის კარზე ყოველდღე იმყოფებოდა ადგილობრივი დიდკაცობა ულამაზესი ყმაწვილებით, მშვენიერი ქალწულებით, დარბაისელი მანდილოსნებით, რომელთაც მიმზიდველი გარეგნობა და სასიამოვნო ქცევა ჰქონდათ.

შემდეგ მივედით ალავერდში, რომელიც საუკეთესო ადგილია საქართველოში სასიამოვნო და რბილი კლიმატით, იქ არის მათი უდიდესი ტაძარი... ადგილობრივი, ხალხური ჩვეულების მიხედვით, გაიმართა დღესასწაული, რომლის აღწერა შეუძლებელია“.

1634 წ. იერუსალიმს მიმავალმა რუსმა ვაჭარმა – ვასილ გაგარამ საქართველოზე გაიარა. თბილისისა და მცხეთის შესახებ იგი წერს: „თბილისში ოთხი ციხესიმაგრეა, ხოლო ორად არის გაყოფილი (იქით-აქეთ). მათ შორის მდინარე გადის, იგი არ იყინება ზამთარში... მას მტკვარი ეწოდება. ის მიმდინარეობს კლდოვან მთაში. იმ ციხეთაგან, რომელიც მდ. მტკვრის მეორე მხარეზეა, ერთი ციხე... ძალიან მაღალსა და კლდოვან მთაზეა. ამ ციხეების აღება გვირაბების გამოთხრით არ შეიძლება. ამ ციხის გარშემო თხრილია გარშემოვლებული, მაგრამ იგი ხელით ნაკეთები არ არის, ამ მთის კლდე არის თავისთავად გაჭრილი. მისი სიღრმე 7 საჟენი იქნება და მასში წყალი ცხელი ჭებიდან (წყაროებიდან) მოდის. ღვთის განგებით, ეს ცხელი ჭები (წყაროები) 60-ზე მეტი იქნება. ამ წყაროებზე ძალიან ლამაზი პალატებია აგებული. აქ ამ პალატებში, ცხელ ჭებში, აბანოს მაგივრად ბანაობენ ქრისტიანები და მაჰმადიანები, ხოლო ტანს იხეხენ ქისებით და არა ცოცხებით, ცოცხებით არც იციან. აქვე ახლოს, ამ ციხეებთან მდინარე მტკვრის დინების მიმართულებით, გვირაბია მიწის ქვეშ გაკეთებული... ამავე მდინარე მტკვრის აყობებით, ზემოთ, თბილისის მახლობლად, 12 სტადიონის მანძილზე, მონასტერი დგას, აქ მიტროპოლიტი და არქიეპისკოპოსი ცხოვრობს, ტაძარი აქ სასწაულებრივად არის აგებული ფიქალი ქვით, სხვადასხვა ფერის

ფიქლით; არსად ასეთი, ღვთის მოწყალებით, საოცარი ნაგებობა არ მინახავს. ამ მონასტრის პირდაპირ, მდინარე მტკვრის მეორე მხარეს, ძალიან მაღალი მთა არის. ამ მთაზე ძველი მეფეების ტაძარია აგებული, რომელსაც მანსოვარი არ ჰყავს... საქართველოს ქვეყანა მდიდარია ხორბლით, ჭვავით, თაფლით და ყურძნით“.

1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში მოეწყო ელჩობა რუსი ალექსი იევლევისა... ქუთაისამდე მან რაჭაზე გამოიარა და აღწერა ნიკორწმინდის ტაძარი: „16 ივნისს... ალექსანდრე მეფის ციხე-ქალაქში, რაჭაში მივედი, რომელიც საქართველოს მეფეს თეიმურაზს აქვს ბოძებული სარჩოდ. აქ წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ქვის დიდი საყდარია, საოცარი ნახელავია. გარედან საყდარი მოჩუქურთმებულია და ქვაზე ამოჭრილია საუფლო დღესასწაულები, წინასწარმეტყველნი, მოციქულები და მოწამენი. შიგნით საყდრის კედლები მოხატულია. ადგილობრივი, ქართული ხელობის ხატები ოქროთია მოჭედილი, სახელდობრ შარავანდედი და სამოსელი. სახატეებიც ვერცხლითაა მოჭედილი და ალაგ-ალაგ დღესასწაულები და წმინდანებია ამოტვიფრული, შარავანდედები ოქროსაგანაა გაკეთებული და შემკულია მინანქრით და მარგალიტებით. ხოლო საეკლესიო ჭურჭლები, ბარძიმფეშხუმი და ტრაპეზის ჯვარი ოქროსაგან არის ნაკეთები. სახარებაც ოქროთია მოჭედილი. საყდრის გარშემო ქვის ზღუდეა, რომელსაც ორი ალაყაფის კარი აქვს... ამ საყდარში მეფის მახლობელი ნათესავები არიან დამარხული, კუბოები საყდრის კედელშია ჩატანებული და ზედ ხავერდი და ოქროს ვარაყიანი ატლასია ფარდასავით ჩამოფარებული... სოფლებში საყდრები, კოშკებიცა და პალატებიც ქვისაა, თავდასხმების დროისათვის გათვალისწინებული“...

ქუთაისსა და მის მიდამოებს ავტორი ნანახის თანმიმდევრობით აღწერს: ქუთაისის ქვემო ციხე „რიონზეა გადამდგარი, მთების ძირას, ვაკე ადგილზე. ციხე-გალავანში ქვის საყდარია წმ. მოწამის გიორგის სახელობისა. ციხის გალავანზე ორი კოშკია აღმართული: ერთი კარიბჭეზეა, რომელზედაც ერთი მცირე ზარბაზანი დგას. მეორე კოშკს 15 საყენი ექნება სიმაღლე, ამაზე სამი ისეთივე მცირეყალიბიანი ზარბაზანი დგას. ამ ციხე-გალავანში სეფე-დარბაზი ბოძებზე დგას, ბოძები კი მდინარე რიონშია ჩაშენებული. დარბაზში კედლის მხატვრობაა, წინანდელი მეფეების ბრძოლებია გამოხატული. დარბაზი სიგრძით რვა საყენია, სიგანით — ხუთი... ამ დარბაზის მახლობლად ქვის დაბალი ერთსართულიანი ჩარდანია, სიგრძით ოცი საყენი, სიგანით რვა საყენი, ფანჯრები დიდი და ხშირი აქვს... მეორე მხარეს მდინარე რიონთან, დიდი სეფე-დარბაზია ქვედა სართულზე დადგმული, სიგრძით თვრამეტი საყენი, განი შვიდი საყენი, სიმაღლით რვა საყენი. ზედა ბინები ჩუქურთმიანი სარკმლებით არის გაკეთებული და ნათელია... ამ სეფე-დარბაზის უკან, ციხის გალავნის კედლის მიღმა, ალექსანდრე მეფის ბაღია, ბაღში ყოველგვარი ხეხილია გაშენებული...

გელათის ციხე ქვისაა და მთის შუა წელზე დგას. ამ მთის ქვემოთ მდინარე გადის. მისი სახელია წყალწითელა, ციხე-გალავნიდან ნახევარი ვერსის სიშორეზე. ციხე-გალავანს ორი ალაყაფის კარი აქვს, ამ კარებზე კოშკებია აგებული. ერთ ალაყაფის კარს რკინის დიდი საკეტები აქვს, ამაზე წარწერაა ამოჭრილი. ზაქარია მიტროპოლიტმა გვითხრა, რომ ის კარი ყიზილბაშთა ქვეყნიდან არის მოტანილი, დარუბანდის ციხესიმაგრეიდანო, იმ დროს, როცა დავით... მეფემ ყიზილბაშთა ქვეყანა დალაშქრა. თვით ციხე-გალავანში გელათის

ღვთისმშობლის სახელობის ქვის საყდარია, სპილენძით გადახურული. საყდარში კედლის მხატვრობაა, ზედ საუფლო დღესასწაულები და წმინდანებია გამოსახული... გალავნის ალაყაფის კართან, სადაც რკინის კარებია, ეკვდერია წმ. დიმიტრი წამებულის სახელობისა. იმ ეკვდერის წინ, ალაყაფის კარებში, დავით მეფეა დასაფლავებული, რომელმაც ყიზილბაშების ქვეყანაში ილაშქრა და ის კარები დარუბანდიდან მოიტანა. ის ციხე-გალავანი და კოშკები და საყდრები ამ დავით მეფემ ააგო. გალავანში თერთმეტი დიდი და საშუალო პალატია... გელათის ამ ციხე-გალავნიდან ზემოთ, მთაზე ორი ქვის საყდარია, ერთი ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა, მეორე – ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა. ... წყალი გაყვანილია მიწის ქვეშ გალავნის შიგნით და მილებით მიედინება მთელ ციხე-გალავანში და მოყვანილია პალატებში და ყველა სათავსში...

ქუთაისის ციხე-გალავანი ქვისაა. გალავნის კედლების სიმაღლე სამი საყენი იქნება, ციხის კედელს ერთი „დიდი საყენის“ სისქე ექნება. ციხის კედლებზე, საკრებულო ტაძრის პირდაპირ, ოთხი დიდი პალატია. გვიამბეს, რომ ამ პალატებში კათალიკოსები ცხოვრობდნენო. ციხე-გალავანზე თხუთმეტი დიდი და მცირე კოშკია. გალავნისა და კოშკების კედლები არაერთ ადგილასაა ჩამონგრეული. გვიამბეს, რომ წინა წლებში თურქების ლაშქარი მოვიდა და შეტევის დროს ის კედლები და კოშკები ზარბაზნებით ჩამონგრეესო. ამჟამად ეს დანგრეული კედლები და კოშკები კეთდებაო. ამ დიდი ციხე-გალავნის საერთო მოცულობა ათას ორას ოცდაათი „დიდი საყენია“. ციხე-გალავანი მდინარე რიონზე მალლა მთაზეა გადმომდგარი. ქუთაისის ამ დიდ ციხე-გალავანში ქვის საკრებულო ტაძარია ერთგუმბათიანი, საუცხოოდ აგებული. გუმბათი გადახურულია სპილენძით, თექვსმეტ წახნაგად. საყდარი დიდი ქვებითაა ნაგები... საკრებულო ტაძარს გარშემო ქვის გალავანი აქვს შემოყოლებული ორი საყენი სიმაღლის, სისქით ნახევარი საყენი... გალავანზე ქვისაგან აგებული სამრეკლოა, მრგვალი, ზედ ერთი ზარია, რვა ფუთი იქნება, შიგ ორი ენა აქვს...

საკრებულო ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. შიგ წინათ კედლის მხატვრობა ყოფილა. საყდარში მრგვლად თლილი რვა სვეტია. საყდარში ამ სვეტებზე, იქითაქეთ გვერდებზე, თალებს ქვემოთ, შანიშინია შესანიშნავად გაკეთებული (ქალთა სადგომი წირვა-ლოცვის დროს)... საყდარში მარჯვენა მხარეს, სვეტიანი ქვისაგან გაკეთებული, მეფის ადგილია, ზედ მეფეებია დახატული. როცა მეფე ამ საკრებულო ტაძარში მოდის, იმ თავის ადგილას დგება. ამ ადგილის პირდაპირ, საკურთხევლის კედელზე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ადგილობრივი (ქართული ხატია), წელს ზემოთ გამოსახული...

საკრებულო ტაძრის მიღმა დიდი ქუთაისის ოთხკუთხიანი ციხე-გალავანია, კედლები სიმაღლის მიხედვით ათი საყენია, სისქით – საყენზე ნაკლები. გარშემო შვიდი კოშკია აღმართული, სიმაღლით თორმეტ-თორმეტი საყენიანი იქნება... ციხე-გალავანს ერთი ალაყაფის კარი აქვს, რკინის საკეტი, ციხე-გალავანში წმ. გიორგის სახელობის ქვის საყდარია. შიგ კედლის მხატვრობაა... მეფის დარბაზები ციხის კედლებზეა გაშენებული. დარბაზში კედლის მხატვრობა ყოფილა. დარბაზების წინ, შესასვლელთან სამი სალაშქრო ზარბაზანი დგას...

დიდი ქუთაისის ქვის ციხე-გალავნისა და ქვემო ქუთაისის მცირე ციხე-გალავნის გარშემო, რიონის ორსავე ნაპირზე, თხრილია შემოყოლებული და გაკეთებულია ქვაყრილი.

ამ ქვაყრილზე კი ხის კოშკებია დადგმული მეომრების მისადგომად და საბრძოლველად. ციხე-გალავნის გარშემო გაკეთებულ ქვაყრილს დაახლოებით ოთხი ვერსტი ექნება სიგრძე; ქვაყრილის მიღმა, ორი ვერსტის, ზოგან სამი ვერსტის დაცილებით უფრო მეტად, ქვაყრილის გარშემო, ყოველგვარ პურეულს თესენ, ხორბალს, ასლს, ჭვავს, ფეტვს, მუხუდოს და ლობიოს.

ქუთაისის ციხე-ქალაქის გარშემო, ხუთი, რვა და ათი ვერსტის და მეტის დაცილებით, აზნაურთა მრავალი დაბა-სოფელია. სოფლებში ქვისა და ხის საყდრებია, ციხე-სიმაგრეების ნაცვლად მათ სათოფურებიანი ქვის კოშკები აქვთ. მათი დასახლება ხეობაში, მთების ფერდობებზე, თვით მთებზე და დაბალ ადგილებშიაც არის... ქუთაისიდან შავ ზღვამდე რიონით ორი დღის სავალი იქნება, ხმელეთით კი ერთი დღისა. შავი ზღვიდან სადადიანოში, მდინარე რიონით დონელი კაზაკები მოდიან და დადიანისაგან ყოველწლიურად ხარკს იღებენ, ზოგჯერ კი დაბა-სოფლებსაც არბევენ...“.

იმერთა მეფე ალექსანდრეს ელჩობა სკანდის ციხეში მიუწვევია; „ციხე-გალავანი სკანდა მთაზე დგას, ქვის არის, ოთხკუთხედი, მაღალი, ათი საყენის სიმაღლის, გალავანზე ოთხი კოშკია, ყოველ კოშკზე სამი პატარა ყაღიბის ზარბაზანია. ციხე-გალავანში საყდარია, უჯვაროდ, წმინდა გიორგი წამებულის სახელობის. საყდარში კედლის მხატვრობაა. ციხის გალავანზე სამსართულიანი დიდი პალატია დაშენებული. ზემო სართულში მეფის სალაროა... იმ ციხეს და სალაროს მეთოფურები იცავენ. ციხეში ხის დიდი ბეღელიც არის სავსე ხორბლით. სარდაფის მაგივრად, მიწაში დიდი ქვევრია ჩამარხული, რომელშიც წლის მარაგი ღვინოა ჩასხმული, ციხის გარემოცვის შემთხვევისათვის... ციხის გარშემო ხრეშით სავსე ხის ყუთებია გაკეთებული. ხოლო ციხეს ერთი მისადგომი აქვს და ისიც ციცაბო, არავითარი ღონისძიებით, შეტევით მისი აღება არ შეიძლება, მთა მთლიანად ქვისაა...“

ქუთაისის ციხე-ქალაქიდან, იმ სკანდის ციხე-გალავანამდე 30 ვერსტი იქნება... ადგილები დასახლებულია კოშკებით, დაბა-სოფლებით, მაგარ ადგილებშია ხეობებსა და მდინარეებზე. იმ ვაკე ადგილებში მეფის კუთვნილი მრავალი დასახლებაა... მდინარე ყვირილაზე, მთების ძირას, ალექსანდრე მეფის ციხე სუერი დგას. ციხე-გალავანში ქვის საყდარია ყოველადწმინდა ღვთისმშობლის სახელობისა... სუერის ციხე მაღალ ბორცვზე დგას კლდეზე. ამ ციხეზე მისასვლელი ვიწროა. ქვეითა კაცს შეუძლია მხოლოდ ასვლა. ამ ციხეშიც ალექსანდრე მეფის სალაროა. სუერის ციხიდან მდინარე ყვირილით, ქვევით მდინარე რიონამდე ოც ვერსტამდე იქნება. რიონი კი შავ ზღვაზე ჩადის. ხოლო ზღვიდან რიონით, ნიჩბებიანი ნავეებით მდინარე ყვირილამდე მოდიან...“

ალექსი იეველევი აღწერს იმერეთის დასახლებებსაც: „სოფლები და დაბები, აგრეთვე თვით სოფლებსა და დაბებში სახლები, ერთიმეორისაგან შორიშორს არიან დაცილებულიები, გაფანტულია ბორცვებზე, დაბლობებზე, მთებს შორის და მთებზედაც. სადაც წყაროებია, მათი დასახლება იქ არის და სახნავ-სათესიც. მხოლოდ მიჯრით, ერთად კი არ არიან დასახლებულიები, არამედ ორი, სამი, ათი, ოც-ოცი კომლი და ესენიც ერთმანეთისაგან ერთი ისრის ტყორცნის მანძილით არიან დაშორებულიები. ყოველ ეზოს გარშემორტყმული აქვს ყოველგვარი ხილეული და ვაზი, ისე გევონება, ტყეში ცხოვრობენ, არც კი მოჩანს.“

საყანეს სახნისით ხნავენ ან თოხებით ამუშავებენ. პურეულთაგან მათ ხორბალი აქვთ,

აგრეთვე ასლი, ქერი, ფეტვი, ქვრიმა, კანაფი, ლობიო, მუხულო, დიკა. პურს ზაფხულში ორჯერ იღებენ. ხეხილი აუარებელი აქვთ: ვაშლები, მსხლები, გულაბი მსხალი, კომშები, ქლიაგები, ალუბლები, თუთა, შვინდი, კაკლები, ღვინის ვაზები. აგრეთვე ყოველგვარი ტყის ხილი აქვთ, ყოლო, მოცხარი და მაყვალი მრავალია. მათ ტყეში ისეთივე ხეებია, როგორც რუსეთში, ფიჭვი, ნაძვი, არყის ხე, მუხა, თელა, კობიტი, ჭნავი, ცაცხვი, ტირიფი... მიწაც ძალიან ნაყოფიერია, მხოლოდ ვიწრო ადგილია, მთებს შორის მოქცეული...

ქუთაისში ვაჭრები თურქეთიდან, სპარსეთიდან, აზოვიდან, თბილისიდან, გურიიდან, სამეგრელოდან ყოველგვარი საქონლით მოდიან, სხვადასხვა ხალხი — თურქები, ებრაელები, სპარსელები, სომხები, აზოველები და მოაქვთ ირანული ხავერდები, ატლასები, აბრეშუმის ქსოვილები, ყალამქარი და ყოველგვარი თეთრი თუ ფერადი ფარჩა... იმერეთსა და სადაღიანოში ყაჭი (მეაბრეშუმეობა) ყველა ქალაქშია გავრცელებული და ყოველი ადამიანი თავისას ყიდის, ვის როგორც შეუძლია. ყაჭი იაფია, ფუთს თექვსმეტ ან ჩვიდმეტ ოქროდ იყიდებიან... უცეცხლო თაფლი უზომოდ იაფია, რუსული ფუთი აბაზად და ნაკლებადაც შეიძლება იყიდო, აბაზი ჩვენს გრივანას უდრის.

მათ ქვეყანაში აუარებელი თახვი და წავია, წაბლისფერი და ყვითელი ძელიები, ფოცხვერები, ირმები, თხები, ღორები და კამეჩებია. რაც შეეხება შინაურ საქონელს, ცხენებს, ძროხებს, ცხვრებს, ღორებს და ასეთ პირუტყვებს, მათ მრავალი ჰყავთ... სკანდიდან ჩვენ მეფის სოფლებზე გაგვატარეს, სადაც მეფეს სანადირო და მხეცების მოსარეკი ადგილები აქვს“.

1653 წლის სექტემბერში იერუსალიმიდან საქართველოში მოვიდა რუსი ბერი არსენ სუხანოვი, რომელმაც თბილისი და მცხეთა მონახულა. მას ღამე მცხეთის მონასტერში გაუთევია. „ის მონასტერი ქვის ზღუდით არის, როგორც ციხესიმაგრე. პალატები ქვის იყო დიდი ორსართულიანი... მონასტრის შუაში საოცარი საყდარია — დიდი, მაღალი და მშვენიერი, თეთრი ქვით ნაკეთები, ფანჯრის გრეხილებით და მრავალ ადგილას მწვანე ქვაა ჩაშენებული ექვს საყდრზე. საყდრის შიგნით, შუა ადგილზე მარჯვენა მხარეს, პირველ სვეტთან ორ ბოძს შორის მწკრივში, ოთკუთხიანი ბოძი დგას სიმაღლით სამი საყენი, ქვევიდან ყრუთ არის დაშენებული, ხოლო ზევით — ოთხ ბოძალად. ამ ოთხ ბოძალზე ქვის თალია კარავივით, გადახურულია ფიქალი ქვით. ქვემოთ, თვით მიწაზე ამ სვეტთან, თითქოს პაწაწინა სახატე ნიში იყოს, ფარდით არის ჩამოფარებული და მის პირდაპირ, ქვაფენილზე ფარდაგია დაგებული, და ამ ფარდაზე მოჭედული ხატები დგას. არსენმა ფარდა გადასწია და სახატე ნიში დაათვალიერა, იგი ღრმა არ იყო, ეტყობოდა, ქვა ცოტა ჩამონგრეული იყო, ხოლო ამ სვეტს ქვეშ ქრისტეს, ჩვენი ღმერთის კვართია ჩადებული, სულ მთელია და დაუზიანებული... თბილელმა ეპისკოპოსმა და ბევრმა სხვამაც არსენის მოუთხრეს, რომ... ქრისტეს ჯვარცმის დროს იერუსალიმში ერთი ასისტავი იყო, სახელით ლოგინ, წარმოშობით ამ მცხეთა-ქალაქიდან, რომელსაც ერთი და ჰყავდა ქალწული... ლოგინთან ერთად იყო ამხანაგი მისი იმავე მცხეთიდან, მისი სახელი არსენის დაავიწყდა. და როცა ლოგინ თავის ამხანაგით იერუსალიმში წავიდა, იმ ქალწულმა ჩვენება იხილა ჩვენი ქრისტე-ღმერთის შესახებ და მრავალჯერ ევედრა ძმასა მისსა, რათა მან მოუტანოს მას ჩვენი ქრისტე-ღმერთის რაიმე ნივთი საკურთხევლად.

ქრისტეს ვნების დროს, როცა ჯარისკაცებმა ქრისტეს სამოსი გაინაწილეს, ლოგინს წილად ხვდა ქრისტეს მთელი კვართი და მან იგი თავის დას წამოუღო... იმ ქალწულმა ჩვენება ნახა ძმის მოსვლის შესახებ... შეხვდა, გადაკოცნა და ეკითხებოდა, რა მოგიტანია ჩემთვისო... ძმამ მისცა მას კვართი უფლისა... დამ მკერდში ჩაიკონა კვართი ქრისტესი და იმ ადგილზევე გარდაიცვალა, და იმ ადგილს, სადაც იგი ძმას შეხვდა და გარდაიცვალა არსენს უჩვენებდნენ და აქ ტაძარი აშენდა, ხოლო ის ქალწული იმ კვართით დასაფლავეს, იმიტომ რომ კვართის მისი ხელიდან გამოხსნა შეუძლებელი შეიქნა და ამ ადგილას მრავალი სასწაული ხდებოდა. შემდეგ, როცა ივერიის ქვეყანა მოინათლა, იმ ადგილას ის დიდი ტაძარი იქნა აგებული, სადაც ახლა დგას. და მათვე მომითხრეს, რომ ჰყავთ მათ ერთი ქართველი ბერი-წმინდანი, რომლის სახელიც არსენის დაავიწყდა, ცხოვრობს უდაბნოში და ის იმ ლოგინ ასისტავის შთამომავალიაო, ჩვენ საამისო დამამტკიცებელიც გვაქვსო, მათი მოღვათა აქამდეც მომდინარეობს. ეს ჭეშმარიტებაა...“

XVII ს-ის I ნახევარში საქართველოში ოცი წელი გაატარა იტალიელმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ, რომლის ჩანაწერებიც ძირითადად ოდიშის სამთავროს (შავი ზღვის სანაპირო დასავლეთ საქართველოში) ბუნებას, მოსახლეობის წეს-ჩვეულებებს, საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავს. მას აქვს დაკვირვებები მეზობელ მხარეებზედაც, მაგალითად, ის აღნიშნავს, რომ „ქუთაისი კარგი სავაჭრო ქალაქია, რადგან იმისთანა ადგილზე დგას, სადაც ყოველი მხრით ადვილად მოდიან ვაჭრები თავიანთი საქონლით, მთებიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავიანთი შინაური ნაწარმი, ნაბღები და მსხვილი შალები... ქართლიდან მოდიან ქართლები და ირანელები, რომელთაც ჩამოაქვთ ძვირფასი ირანული შალები და ინდოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავები, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა და სანელებელი; თურქები სამცხის მხრიდან მოდიან და ბლომად მოაქვთ თავიანთი სავაჭრო, მაგალითად, უნაგირები და ცხენის საკაზმავეები, ხალები, ხანჯლები და თურქული ზანდუკები“.

ოდიშის სამთავროზე (სამეგრელო) იგი წერს: „სამეგრელო მდიდარია ამწვანებული გორაკებით, ვრცელი ველებით, კეკლუცი ჭალაკებით, მდინარეებით, ღელეებით და წყაროებით, რომლებიც ყოველი მხრიდან ჩამოუდის. ვფიქრობ, რომ ამ ბუნების სიმშვენიერეა მიზეზი, რომ მეგრელები არ ცდილობენ მაგარი და მშვენიერი სახლები ააგონ, რადგან სურთ დროის შესაფერად სხვადასხვა ადგილას გადავიდნენ და ყველგან შესაფერისი სიამოვნებით დატკბნენ. კარგად და მდიდრულად აშენებული სახლი ხომ ერთ ადგილას იჭერს კაცს. მეგრელები, რათა ყოველი ადგილის სიამოვნება იგემონ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან. ამიტომაც ადვილად და მცირე ხარჯით იშენებენ ნაირ-ნაირ სახლებს, ცალ-ცალკე სოფლად, ვისაც სად ურჩევნია. არა აქვთ მათ არც ქალაქი და არც დაბა, რომ შეჯგუფებულად ცხოვრობდნენ. ზოგი იშენებს სახლს გორაზე, ზოგი ვაკეზე, ზოგი პატარა ტყეში და ზოგიც – წყლის პირად. ვინც უფრო შეძლებულია, ყველგან თითო სახლი აქვს... ყველა მეგრელს ისე დიდი ეზო აქვს, რომ უფრო მინდორს წარმოადგენს. ეზოში იზრდება მხოლოდ კარგი ბალახი და სარეველას ვერ ნახავთ. ყოველ მოსახლეს თავი მოსწონს ეზოს სიწმინდით...“

არქანჯელო ლამბერტი მეგრელთა სუფრაზეც აღნიშნავს ღვინის სიჭარბეს და სუ-

ფრასთან სხდომის ხანგრძლივობას. „უცხოელები თუ არიან პურისჭამის დროს, მათ პატივს სცემენ მათი ღირსებისა და წოდების კვალობაზე. თუ ისინი თანასწორნი არიან მასპინძლისა, მასპინძელი ფეხზე მდგომი განკარგულებებს იძლევა, რათა სტუმრებს კარგად ემსახურონ და ყველაფერი რიგზე იყოს. თავში მასპინძელი თავის ხელითაც ემსახურება ასეთ სტუმრებს, თვითონ მიართმევს საჭმელს, დაუსხამს პირველად სასმელს და მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდება პურის საჭმელად... მხოლოდ დიდ დღესასწაულში, თუმცა ერთად სჭამენ პურს, მაგრამ ქალები ერთის მხრით სხდებიან და კაცები, მეორეს მხრით“...

ავტორი მიწათმოქმედების გამო წერს: „არც ერთი ერი ისეთ პატივს არ სცემს მიწათმოქმედებას, როგორც მეგრელები. სხვაგან ყველგან მიწის მუშაობას ეტანება მხოლოდ დაბალი ხალხი... სამეგრელოში კი, რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, თვითონ მუშაობს... და მოჰყავს თავისი საზრდო. ეს საქმე სათაკილოდ როდი მიაჩნიათ. პირიქით, ყოველი წინდახედული მეოჯახე აზნაური მეტად ეტანება ამ მუშაობას, თვითონ იღებს ხელში თოხს და ბევრ ოფლსა ღვინის თავისი ყანების დასამუშავებლად... ჩვეულებრივ, კარგი მიწა სადაც არის, ასეთ წესს ადგანან: პირველ წელიწადს თესენ ღომს, მეორეს – ფეტვს და მესამეს – პურს. შემდეგ ამისა მიწას სამი თუ ოთხი წელი ასვენებენ. ოდიშის მრავალ ნაწილში, სადაც წყალი დგას და არ შეიძლება ღომის დათესვა, თესავენ ბრინჯს, რომელიც ისე ბლომად მოდის, რომ არამცთუ აქაურებს ჰყოფნის, არამედ მიაქვთ თურქეთის გემებს, რომელნიც აქ მოდიან... აქ შეხვდებით ისეთ დიდ ნესვებს, რომ სამ მტკაველზე მეტი იქნება. ბოსტანში ყველა მცენარეზე მეტად მოჰყავთ თურქული ღობიო... ღობიოს შემდეგ დიდ პატივისცემაშია ფხალი, რომელიც ყოველ ადგილას უხვად მოდის“...

საინტერესოა დავის გადაწყვეტის წესი, რომელსაც ლამბერტი ასე აღწერს: „ეს წესი... ღირსია, რომ მიღებულ იქნეს ყოველ სახელმწიფოში, რადგან, როცა ორივე მხარე ერთად წარდგება მოსამართლის წინაშე, ყოველთვის სასამართლოში დიდი ხმაური და აყალმაყალია, რის გამოც ხშირად სიმაართლე იკარგება. ამიტომაც მეგრელები არამცთუ სასამართლო საქმეებში, არამედ სხვა საქმეებშიც არასოდეს პირდაპირ არ მიიქცევიან იმასთან, ვისთანაც საქმე აქვთ. ყოველთვის შუაკაცების საშუალებით არიგებენ საქმეებს“...

მეგრელთა ომის წესებზე ავტორი წერს: „არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ჯარი ისე სამაგალითოდ მოწყობილი გამოდიოდეს, როგორც მეგრელების ჯარი. მშვენიერი ტანისამოსები ისე ბრწყინავენ, როგორც არსად სხვაგან. თითოეულს მოაქვს ყველა თავისი ტანისამოსი და ცდილობს, რომ აქ უფრო კარგად იყოს ჩაცმული, ვიდრე ჩვეულებრივ არის. მართლა აზიერებულა, რომ აქ ყოველდღე იცვლიან თავიანთ ტანისამოსს. ვისაც ვერცხლეულობა აქვს, ერთიანად თან მოაქვს; აგრეთვე მოაქვთ საუკეთესო ირანული ხალები, რათა ამ ხალებზე დღისით დასხდნენ და ღამით დაიძინონ. პურისჭამა ამ დროს მეტად მხიარული იციან... მთელ ღამეებს ქეიფში ატარებენ... როცა ორი მოპირისპირე ჯარი ერთმანეთს შეხვდება, მთავრებს ჩვეულებად აქვთ, თუმცა მტერნი არიან, ერთმანეთს გამაგრებელი სასმელი უთავაზონ... მეგრელები ურთიერთდამოკიდებულებაში ისეთ მოხდენილ ქცევას იჩენენ, რომ... შეიძლება მათი შედარება მეტად ზრდილობიან კარისკაცებთან... უფრო ხშირად ხმარობენ მუხლმოდრეკას, რომელიც ფრიად კეთილშობილ ჩვეულებად მიაჩნიათ. მუხლს იდრეკენ ბევრ შემთხვევაში, და განსაკუთრებით კი მაშინ, როცა დიდი ხნის უნახაობის შემდეგ

ერთმანეთს შეხვდებიან... მასპინძელი იმას როდი უცდის, რომ სტუმარი თავისი სახლიდან თავისით მოვა, არამედ თვითონ პატიუებს სახლიდან; ასეთ სტუმარს რომ მიიღებს და გაუმასპინძლდება, გამოთხოვებისას მდიდრულად დაასაჩუქრებს და ისე გაისტუმრებს. თუ პურისჭამის დროს ჭიშკართან ვინმე უცხომ გაიარა, მეგრელების ჩვეულება თხოულობს მაშინვე კაცი მიაგებონ და შემოიპატიჟონ. ამიტომაც ჭიშკარს არასოდეს არ ხურავენ...“

არქანჯელო ლამბერტი ვაჭრობის შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „თურქებს მოაქვთ კონსტანტინოპოლიდან შემდეგი საქონელი: მშვენიერი, ნაირ-ნაირი ხალები, საბნები, თურქული ტყავები, უნაგირები, ცხენის მოკაზმულობა, მშვილდ-ისრები, შალები და მაუდები ყოველნაირი ფასისა, რკინა, თითბერი, ქვაბები, მატყლი, შელებილი და სახეებიანი ტილოები, დამარილებული თევზი, ხიზილალა, დანები, საკმეველი, პილპილი, შაქარი და მარილი. სამაგიეროდ, მეგრელებისაგან იღებენ თაფლს, ცვილს, ადგილობრივ ტილოს, ძაფს, აბრეშუმს, ხარის, კვერნის, წავის ტყავს, სელის თესლს, ბზის ხეებსა და ტყავებს. ბზის ხეებში თურქები ძალიან იგებენ, რადგან სამასი, თუ ოთხასი სკუდის მარილით ყიდულობენ იმდენ ხეს, რომელიც ხუთი ათას სკუდზე მეტი ღირს. თითო ხომალდში ატევენ ხუთ-ექვს ათას ხეს და კონსტანტინოპოლში ყიდნიან თითო სკუდად თითო ხეს... ქალების სასყიდლად თურქები ფულს არ ზოგავენ, ოღონდ ქალი ლამაზი იყოს. მეგრელი ქალები ხომ უმეტეს ნაწილად იშვიათი სილამაზისა არიან. ზოგჯერ თითო ქალში იძლევიან სამას თუ ოთხას ცეკინოს...“

ავტორი ადგილობრივი მოსახლეობის უარყოფით თვისებებს ამგვარ ახსნას უძებნის: „შეგვიძლია ვთქვათ კოლხიდელებზე, რომ სხვადასხვა ხალხი, რომელიც მოდის მათ ქვეყანაში, ასწავლის მათ მხოლოდ ბიწიერებას და ვერაგობას. მართლაც, ბერძნებს, სომხებს, თურქებს, რუსებს და აფხაზებს შემოაქვთ აქ უფრო ბევრი ბიწიერება, ვიდრე საქონელი, და მათ... მოშხამეს ეს ქვეყანა...“

სამეგრელოში ფრინველთაგან ლამბერტი გამოარჩევს ხოხობს: „ამ ფრინველმა თავისი სახელი მიიღო ფაზისისაგან, რომლის ნაპირებზე იგი ცხოვრობს. ამბობენ, რომ ეს ფრინველი მხოლოდ კოლხეთის კუთვნილება იყო და არგონავტებმა ჩაიყვანეს საბერძნეთში, საიდანაც შემდეგ მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელდაო...“

ავტორი თავის აღწერილობას ამთავრებს კოლხური თაფლის ქებით: „გარდა ჩვეულებრივი თაფლისა, არის კიდევ ერთნაირი თაფლი, რომლის მსგავსიც არსად სხვაგან, გარდა კოლხეთისა და მის მეზობელ ქვეყნებისა, არ მოიძებნება. იგი ფრიად თეთრია და მაგარი, როგორც შაქარი, ისე რომ, თუ ხელით მოტეხთ რომელსამე მარცვალს, თაფლი ხელს როდი ეკვრის და გატეხილ ადგილზე გამოჩნდება თეთრი და მეტად რბილი ცვილი“.

XVII ს-ის 70-იან წლებში საქართველოში იმოგზაურა ფრანგმა ჟან შარდენმა, რომელმაც ვრცლად და მრავალმხრივ აღწერა ჩვენი ქვეყანა. აი, მისი შთაბეჭდილება იმერეთზე (დას. საქართველოში): „კავკასიის მთა მთელ სიმაღლეზე მოსავლიანია. აქ უხვად არის თაფლი, ხორბალი, ღომი... არის აგრეთვე ღვინო, ხილი, ღორი და მსხვილფეხა საქონელი. წყლები ყველგან შესანიშნავია... ვაზი ხეებს ეხვევა და ისე მალლა ადის, რომ ხშირად მტევნებს ვერ კრეფენ. როცა იქ გავიარე, სოფლებში რთველი იყო; შესანიშნავი მეჩვენა ყურძენი, ახალი და ძველი ღვინო. ღვინო აქ ისეთი იაფი ღირს, რომ ზოგ ადგილას სამას გირვანქას ერთ ეკოუდ

ყიდიან... გლეხები ცხოვრობენ ხის ქოხებში, თითოეულ ოჯახს ოთხი ან ხუთი ასეთი ქოხი აქვს. ყველაზე დიდი ქოხის შუაში აჩაღებენ დიდ ცეცხლს და ირგვლივ შემოუსხდებიან. ქალები ფქვავენ მარცვალს იმ რაოდენობით, რაც საჭიროა პურის გამოსაცხობად. ცომი ცხვება მრგვალ ქვის კეცში, რომლის დიამეტრიც დაახლოებით ერთი ფუტია, სიღრმე კი – ორისამი თითი. კეცს ძალიან აცხელებენ, დებენ მასში ცომს და ზედ წააყრიან ცხელ ნაცარს და ნაღვერდალს... ასე გამომცხვარი პურის ქერქი თუმცა ძალიან თეთრი არ არის, მაგრამ პური მეტად გემრიელია... ჩვენ უხვად გვაძლევდნენ ქათმებს, კვერცხებს, ბოსტნეულს. ღვინო, პური და ხილი ბლომად გვქონდა, რადგან თითოეულ მოსახლეს თავის წილად დიდი დოქით ღვინო, ერთი კალათა ხილი და ერთი კალათა პური მოჰქონდა. ჩემგან ფულს არ იღებდნენ...

ამ მთების მცხოვრებნი უმეტესად ქართული წეს-ჩვეულების ქრისტიანები არიან. სახის კანის ფერი კარგი აქვთ; მათ შორის ბევრი ძალიან ლამაზი ქალი ვნახე, ისინი ბევრად უკეთესად ცხოვრობდნენ, ვიდრე მეგრელები და კავკასიის მთის სხვა ხალხი“.

იგივე ავტორი აღმ. საქართველოზე წერს, რომ „საქართველო ნაყოფიერი ქვეყანაა. ცხოვრება აქ კარგად და იაფად შეიძლება. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის ისეთი გემრიელი პური, როგორც აქ. ხილი საუცხოოა და მრავალნაირი. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უფრო გემრიელი მსხალი და ვაშლი. აზიაში არსად მოიძებნება აქაურზე უკეთესი ბროწეული. საქონელი აქ დიდი რაოდენობითაა და ძალიან კარგი ჯიშისა იქნება ეს მსხვილფეხა, თუ წვრილფეხა. ნადირი შესანიშნავი და მოსავლიანია. ბევრია ფრინველიც. დიდი რაოდენობითაა აგრეთვე გარეული ღორიც, რომლის ხორცი ისეთივე გემრიელია, როგორც კოლხეთში... საქართველოს ახლომდებარე კასპიის ზღვა და მასზე გამდინარე მტკვარი იმდენი თევზითა და მტკნარი წყლით ამარაგებს ქვეყანას, რომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, წლის არც ერთ დროს არ შეიძლება აქაურზე უკეთესად ჭამოს და სვას ადამიანი“.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ არ არსებობს ქვეყანა, სადაც ამდენს და ასეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც აქ... მეფეთა სასმელად თბილისიდან ღვინო დიდი რაოდენობით გააქვთ სომხეთში, მიდიასა და ისპაჰანში. ერთი ცხენის საპალნე, რომელიც წონით სამას ფუტს უდრის, მხოლოდ და მხოლოდ რვა ფრანკი ღირს; მე ვლაპარაკობ საუკეთესო ღვინოზე, რადგან, ჩვეულებრივ, საშუალო ღვინოს ამის ნახევარი ფასი აქვს. ყველა დანარჩენი სურსათი ამის შესაბამისად ფასობს, თუმცა საქართველო დიდი რაოდენობით აწარმოებს აბრეშუმს, მაგრამ რასაც მოგზაურთა უმეტესობა წერს ამის შესახებ, აქ იმის ნახევარიც კი არ მზადდება... მათ აბრეშუმში ოსმალეთში, ერზრუმსა და ახლომახლო ადგილებში გააქვთ, სადაც ისინი ფართო ვაჭრობას აწარმოებენ.

ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელს მსოფლიოში საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი. ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზებზე სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოებია, როგორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეეფიყვარდეთ. ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია; არიან მაღალნი, კოხტა და მოქნილი ტანისა და საოცრად წელწვრილნი...

ქართველები თავაზიანნი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე, დარბაისელნი და თავდაჭერილნი არიან. მათი ადათ-წესები გარშემო მცხოვრები ხალხების უმეტესობის ზნე-ჩვეულებათა ნარევს წარმოადგენს. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს შედეგი მათი სავაჭრო ურთიერთობისა სხვა ხალხებთან და იმ თავისუფლებისა, რომელიც საქართველოში ყველას აქვს მინიჭებული: აქ უფლება გაქვს, იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკოვიტებს და ევროპელებს... ქართველები უფრო... ამაყნი, თავმომწონენი და დიდების მოყვარულნი არიან...

თბილისი... ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, თუმცა ძალიან დიდი არ არის... მდინარის ნაპირზე გაშენებული სახლების უმრავლესობა ციცაბო კლდეზე დგას. ქალაქი, გარდა მდინარის მხარისა, საუცხოო და მაგარი კედლითაა შემოზღუდული; კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის გადაჭიმული, რომელზედაც სამხრეთის მხრიდან მთის ფერდობზე დიდი ციხე დგას... მის წინ არსებული სასპარეზო მოედანი ერთდროულად საკრებულოც არის და ბაზარიც... ტაძარი, რომელსაც სიონი ეწოდება, მდინარის ნაპირზეა გაშენებული და ნაგებია მშვენიერი თლილი ქვით. იგი უძველესი ნაგებობაა და ჰგავს აღმოსავლეთის ყველა ძველ ეკლესიას...

თბილისში რამდენიმე ლამაზი საკრებულო შენობაა, ბაზრები, ე. ი. სავაჭრო ადგილები, არის დიდი, ქვით ნაშენი და კარგად მოვლილი. ასეთებია ქარვასლებიც – უცხოელების საცხოვრებელი ადგილებიც. ქალაქში აბანოები ცოტაა, რადგან ყველა ცხელი წყლის აბანოებში დადის. ამ აბანოების წყალი მინერალურია, გოგირდოვანი და ძალიან ცხელი... ღუქნები კიდევ უკეთესად არის ნაგები და კარგად მოვლილი. ისინი განლაგებულია დიდი მოედნის ახლოს, გორაკზე.

მთავრის სასახლე, უდავოდ, თბილისის ერთ-ერთი მშვენიერებაა, მას აქვს დიდი დარბაზები, რომლებიც მდინარესა და სასახლის უზარმაზარ ბალებს გადასცქერიან. აქვეა ყაუშხანები, რომლებშიც მრავალი სხვადასხვანაირი ფრინველია, მწვეარ-მეძებრების დიდი სადგომი და ისეთი მშვენიერი საბაზიერო, უკეთესს რომ ვერაფერს ნახავს ადამიანის თვალი. ამ სასახლის წინ კვადრატული მოედანია, სადაც ათასამდე ცხენი დაეტევა. მას გარს არტყია ღუქნები და ბოლოვდება გრძელი ბაზრით... ბაზრის ზემოდან საუცხოო სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი. კახეთის მეფისნაცვალს ქალაქის ბოლოს აქვს სასახლე, რომელიც აგრეთვე ღირს იმად, რომ კაცმა ნახოს და დაათვალიეროს.

თბილისის გარეუბნებს მრავალი სალაღობო სახლი და საუცხოო ბაღი ამშვენიებს. ყველაზე უფრო დიდია მთავრის ბაღი. ხეხილი აქ ნაკლებად არის, მაგრამ, სამაგიეროდ, უმშვენიერესი, ჩრდილისა და სივრილის მფენი ხეები აურაცხელია...

ქალაქი თბილისი მჭიდროდ არის დასახლებული. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელი, როგორც აქ; ისინი დიდ ვაჭრობას ეწევიან; კარი, პროვინციის დედაქალაქს რომ შეეფერება, ისეთი მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალეა; აქ მუდამ არის მრავალი დიდგვაროვანი დიდებული... მთავარი ბრძანდებოდა დარბაზში, რომლის სიგრძეც ას ათ ფუტს, ხოლო სიგანე ორმოც ფუტს შეადგენს. იგი გაშენებულია მდინარის პირას და მთლიანად ღიაა ამ მხრიდან. მოზაიკით მორთული ჭერი



*Cathedralis S. Georgii in Monte...
construit. Anno... 1800...*

*Abolita est...
S. Georgii...
Abolita est...
S. Georgii...*

De Regibus Caucaso.

Abolita dictus Biscaino Dominus aliqu-
rum montium Cauzalorum moransque
in illis concessit michi Ecclesiam iuxta
praesentem formam, ut secum merarer
quod non potui perficere quia non

*propterea Rex Algerellus quod cui co-
ditus Ego vero ex parte mea libe-
ret voluisti pergere illuc an se-
cus illos montes sine vires sua-
ni quibus non est factus magister,
et ego illic potera proficere nul-
lum in ipsius montibus,
& baptizandis Calhe-
ramentis.*



*Præterea S. Vincentis & Petri in Magalia...
manu accepit de eisdem...
figuras duas*

26

*Fine post...
factum...*

წმ. გიორგის სახელობის ეკლესია სვანეთში

in Campo ...
B... ..
C...

Sancta Maria



... ..

De
...

... ..
... ..
... ..
... ..
... ..
... ..

ყვრდნობა მოოქროვილ და მონატულ სვეტებს, რომელთა სიმაღლეც ოცდათხუთმეტიდან ორმოცამდე ფუტს შეადგენს; მთელი დარბაზი საუცხოო ხალიჩებითაა დაფარული. მთავარი და დიდებულები სამ პატარა ბუნარს შემოსხდომოდნენ, რომლებიც მრავალ ჩირაღდანთან ერთად ისე ათბობდა დარბაზებს, რომ სიცივე არ იგრძნობოდა“.

1701 წ. საქართველოში ჩამოვიდა ფრანგი მოგზაურ-ბოტანიკოსი ტურნეფორი. „საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა, – წერს იგი, – როგორც კი აღმოჩნდებით... მის ტერიტორიაზე, მაშინვე ჩნდება ყოველნაირი სურსათი – პური, ღვინო, ქათამი, ღორი, ბატკანი, ცხვარი. ფრანკებს განსაკუთრებით გულლიად ხვდებიან. სულ სხვაა თურქეთში, სადაც მხოლოდ დაღვრემილ ადამიანებს ხვდები, რომლებიც გულდასმით გათვალისწინებენ თავიდან ფეხებამდე. ყველაზე მეტად განგვაცვიფრა იმ ამბავმა, რომ ქართველებს ფული არ უყვართ და თავიანთ სურსათ-სანოვარს არ ყიდნიან... ჩვენი მცირეოდენი განძი ამ კეთილ ხალხს მივანდეთ. მათ ის ნივთები აიღეს, რომლებიც მოეწონათ და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ჩვენი ნდობა მათ ბოროტად არ გამოუყენებიათ. ექვს თეთრმინანქრიან ყელსაბამში მათ ინდაურის ოდენა ქათამი მოგვცეს, ხოლო თვრამეტ დენის (ლივრის ორას მეორმოცედი) ღირებულების სამაჯურებში – ბლომად ღვინო... გვიამბეს, რომ აქ ქექსი-შეიდი წლის ლამაზ-ლამაზ გოგონებს იტაცებენ და ისფაჰანში ან თურქეთში მიჰყავთ... მომყავს პორტრეტი ქართველი ქალისა, რომელიც ჩვენ ყველაზე ლამაზი მოგვეჩვენა. შეიძლება ითქვას, რომ ყოველ ეპოქაში ამ ქვეყნიდან გაჰყავდათ ულამაზესი ადამიანები. ზონარა შენიშნავს, რომ ხელმწიფის ბრძანებით აქედან ლამაზი ბიჭუნებიც მიჰყავდათ. მათ ასაჭურისებდნენ და შემდეგ ბერძნებს მიჰყიდდნენ...“

მისაბამია, რომ საქართველოს საზღვარზე უცხოელებისაგან არავითარ გადასახადს არ ითხოვენ... სპარსეთში შეტანილ საქონელზე იღებენ ძალზე ზომიერ გადასახადს... აქ საშენ მასალად გამოსადეგი მსხვილი ხეების ტყე დაგვხვდა... ვხედავდით აგრეთვე კაკლის, მსხლის, ქლიავის, ვაშლის ხეებსა და ჟოლოსა და მარწყვის ბუჩქებს. ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთ სიმშვენიერეს ვიხილავდით!... მეორე დღესაც ჩვენ მიერ განვლილ გზაზე ბუნება კვლავ ლამაზად გამოიყურებოდა..., სადაც მცენარეული საფარი და მრავალფეროვანი ხედები წარმოტაც პეიზაჟს ქმნიდა. საცხოვრებელი სახლები ან ხეობის ძირში, ან შუა ფერდობზე იყო განლაგებული; მთა-გორებს ტყეები ამშვენებდა, სხვა ადგილებზე კი ვენახი და ბუნებრივი ხეხილის ბაღები იყო გაშენებული; აქ კაკლის, გარგარის, ატმის, ქლიავის, მსხლისა და ვაშლის ხეები თავისით ხარობდა... ეჭვგარეშეა, რომ იგი საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა, სადაც, სტრაბონის მიხედვით, მიწა დაუშუშავებლად უხვად იძლევა ყოველნაირ ხილს. ვაზი აქ მოვლას სრულებით არ საჭიროებს... მას მხოლოდ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სხლავენ ხოლმეო... საქართველოში თეთრი ღვინო ძალიან კარგია. სპარსეთის სამეფო კარზე კი წითელი ღვინო იგზავნება, რომელიც კოტროტის ღვინოს ჰგავს, თუმცა უფრო მაგარია და მათრობელი. ვაზი ამ ქვეყანაში ხეებზეა გასული და შემოხვეული, ისევე როგორც პიემონტსა და კატალონიის ბევრ ადგილას.

თბილისი საკმაოდ დიდი და მჭიდრო დასახლებული ქალაქია. სახლები აქ დაბალია, ცუდად განათებული და, ჩვეულებრივ, ალიზითა და აგურითაა ნაგები... სულაც არ შეეფერება

იმ აღწერას, რასაც სტრახონი იძლევა... ხოლო ქუჩები უხეიროდ არის მოკირწყლული. ციხე ქალაქის თავზე, მშვენიერ ადგილზე დგას, მაგრამ სანახევროდ დანგრეული გალავანი მხოლოდ და მხოლოდ სუსტი კოშკებითაა დაცული. მთელი გარნიზონი რამდენიმე საცოდავი მაჰმადიანი ხელოსნისაგან შედგება. მათ ციხის დასაცავად გასამრჯელო ეძლევათ. აქ ისინი თავიანთი ოჯახებით ცხოვრობენ და სულაც არ იციან იარაღის ხმარება. ციხეს თავს აფარებენ მოვალეებისაგან გაქცეული გაჭირვებული ადამიანები, ან კიდევ ისინი, ვინც ჩადენილი დანაშაულის გამო იღვწება. ციხის წინ მდებარე პლაცდარში ლამაზია და განიერი. იგი ბაზრად გამოიყენება და აქ ადგილობრივი, საუკეთესო სურსათ-სანოვაგე იყიდება...

ქალაქი გადაჭიმულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ციხე მის შუაგულში მდებარეობს. შეიძლება მისი კარგად გამაგრება, რადგან იგი ძალზე დაქანებულ ფერდობზე დგას, მდინარე მტკვარი კი, ქალაქის გასწვრივ რომ მიედინება, მთელს სიგრძეზე, უფონობის გამო, ძნელი გადასალახავია. ქალაქის გალავანი ფერდობს დაჰყურებს და კვადრატულ ფორმას ქმნის... ციხის ძირში მდებარე მეფის სასახლე ძალზე ძველია, მაგრამ... საკმაოდ კარგად არის მოვლილი... ჩვენ შეგვიყვანეს ახალ დარბაზში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხისა იყო, საკმაოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. ყოველი მხრიდან მას ლურჯი, ყვითელი, ნაცრისფერი და კიდევ სხვა ფერის მინებიანი დიდი და დახურული ფანჯრები ჰქონდა. აქ რამდენიმე მცირე ზომის ვენეციური სარკეც იყო, მაგრამ თავიანთი სილამაზით ისინი ბევრად ჩამოუვარდებიან პარიზის სარკეებს. ჭერი, ოქროთი მოვარაყებული ტყავებით, კვადრატებად იყო დაყოფილი. გვარწმუნებდნენ, რომ ქალთა სამყოფელი ბევრად უფრო ლამაზია, მაგრამ არ ვიცი, რატომღაც გასაღები ვერ იპოვეს...

სასახლიდან იქვე მდებარე აბანოების დასათვალიერებლად წავედით. აქ სასიამოვნო ცხელი წყლებია ასატანი ტემპერატურისა... ცხელი წყლის გარდა, თბილისის აბანოებში თბილი და ცივი წყალია. აბანოები კარგად არის მოწყობილი და იგი ქალაქელებისათვის საღალბო ადგილსაც წარმოადგენს. აქაურები ძირითადად ბეწვეულით ვაჭრობენ, რომელიც გააქვთ სპარსეთში, ან არზრუმით – კონსტანტინოპოლში. ადგილობრივი აბრეშუმი, ისევე როგორც შემახისა და განჯის აბრეშუმი, თბილისით არ გააქვთ იმ დიდი ბაჟის გამო, რომელსაც აქ ახდებიან. სომხები ადგილზე ყიდულობენ აბრეშუმს და გზავნიან სმირნაში ან ხმელთაშუა ზღვის სხვა ნავსადგურებში, სადაც მას ფრანკები ყიდულობენ. თბილისის გარეუბნებიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდან არზრუმში ყოველწლიურად იგზავნება ორი ათასზე მეტი აქლემის საპალნე მცენარის ძირი, რომელსაც ბოია ეწოდება. არზრუმიდან იგი დიარბექირში მიდის ტილოს შესაღებად, რომელიც იქ პოლონეთისათვის მზადდება. გარდა ამისა, საქართველო დიდი რაოდენობით ამარაგებს ამ მცენარის ძირით ინდოსტანსაც, სადაც საუკეთესო ხარისხის შეღებილ ტილოს ამზადებენ. ჩვენ საშუალება გვქონდა თბილისის ბაზარზეც გაგვევლო. აქ ყველანაირი ჯიშის ხილი იყიდებოდა, განსაკუთრებით კი ბევრი იყო ქლიავი და მშვენიერი მსხალი... ვეწვიეთ აგრეთვე მეფის ქალაქკარე სასახლესაც, რომელიც თურქეთიდან მომავალ გზაზეა... აქაურ ბალებში მშვენიერი მცენარეები ხარობს და მათ უკეთ უვლიან, ვიდრე თურქეთის ბალებში... თბილისში ფრესკებს სველ ბათქაშზე ხატავენ, რაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. კირი აქ ისევე ბლომადაა, როგორც ტყე...

ქართველ დიდებულებს... სპარსეთის ხელმწიფე დიდი ჯამაგირით აჯილდოებს. მან იცის, რომ თურქები სიამოვნებით მიიღებენ ქართველებს, რომლებიც კარგი აღნაგობისა და მამაცი მეომრები არიან და რომ იმასთანავე, ქართველებს სპარსეთის ბატონისაგან განთავისუფლების დიდი სურვილი აქვთ... საქართველოში (დიდებულების) თორმეტიოდე დიდი საგვარეულოა... ერთი საგვარეულო რამდენიმე შტოდ იყოფა; ზოგი მათგანი ორას კომლს ფლობს, ზოგი – ხუთიდან ათასამდე... თითოეული კომლი თავის ბატონს მოსავლის მეათედ ნაწილს უხდის. საომრად თითო კომლიდან თითო კაცი გადის, მაგრამ მეომრები ჯარში მხოლოდ ათი დღის მანძილზე არიან, რადგან თან მხოლოდ ათი დღის საგზალი მიაქვთ... ჯარის შენახვა აქ წესად არ არის მიღებული.

თბილისში ყველას უფლება აქვს საკუთარი საჭიროებისათვის დაამზადოს თოფის წამალი; გოგირდი აქ განჯიდან შემოაქვთ, ხოლო გვარჯილა თბილისის ახლოს მდებარე მთებში მოიპოვება... საჭმელსა და სანათურებში სელის ზეთს ხმარობენ. ამ მცენარეს დიდი რაოდენობით თესვენ სოფლებში, მაგრამ იყენებენ მხოლოდ მის მარცვალს, ღეროებს კი ყრიან და მისგან ძაფს არ გრეხენ... აქაური სელისაგან შეიძლება მთელს ქვეყნიერებაზე საუკეთესო ტილოს დამზადება, მაგრამ შესაძლოა ამას ზიანი მიეყენებინა მატყლით ვაჭრობისათვის...“

სომეხი ისტორიკოსი ესაია ჰასან ჯალალიანცი აღწერს თბილისის აოხრებას მაჰმად-ყული-ხანისა და ლეკების მიერ 1723 წ.: „სახელგანთქმული და მშვენიერი ქალაქი თბილისი დიდი ხნის განმავლობაში არ შეუწუხებია მტერს და მოსვენებული იყო ომებისაგან... ამ ქალაქში შრომისმოყვარე ვაჭრები ცხოვრობდნენ, ხოლო მათი ცოლები, ვაჭრები და ქალწულები გამოირჩეოდნენ თავიანთი სინაზითა და მშვენიერებით. მათი მშვიდობისმოყვარეობა და თავაზიანობა შეუდარებელია, მათი სასახლეები, რომლებიც ათასნაირად არის მორთულ-მოკაზმული, ბრწყინავენ ძვირფასი ჭურჭლეულითა და ნივთებით. მათ... სახლებსა და სალოცავებში ხშირად სპილენძის ნაცვლად ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებულ ჭურჭელსა და ნივთებს ხმარობდნენ. მათი ტანსაცმელი და სამოსი უძვირფასესი ფარჩაა, მარგალიტებით გაწყობილი. რა ვთქვათ მათი ეკლესიების დიდებულებისა და ბრწყინვალების შესახებ, რომლებიც უმაგალითოდ დამშვენებულია ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებით... ყოველივე აქ ჩამოთვლილი ხელთ ივდეს ველურმა... ხარბმა... წურბელასავით გაუმაძღარმა ლეკებმა, გაძარცვეს და აივსნენ ნადავლით, ხოლო ბავშვები, ყმაწვილები, ქალები და ქალიშვილები, ვინც კი თვალში მოუვიდათ, ყველანი ტყვედ წაიყვანეს... ლეკები ფულს ითხოვდნენ. ამიტომ მაჰმადყული-ხანმა მძიმე ხარკი დაადო მოქალაქეებს, აურაცხელი თანხა, 40 ათასი თუმანი დააკისრა მათ, აიღო და ლეკებს დაურიგა და თავიანთ ადგილებში დააბრუნა“.

1782 წ. გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეკსი იმერეთში იმყოფებოდა და აღნიშნავდა: „მე არც კი შემიძლია რაიმე ვთქვა ვაშლის, მსხლის, ქლიავის, გარგარის, ატმის, ლელვისა და ნუშის სიჭარბის შესახებ... ნუშისა და ზღმარტლის ხეები დახუნძლულნი დგანან კომშისა და ვაშლის დაბურულ ტყეებში... ამ სიუხვის გარდა, რომ დაუკვირდეთ ბრინჯის, ფეტვის, ხორბლის, ბამბის, სელისა და კანაფის მდიდარ მოსავალს, რომლის ჭარბად აღებაც შეუძლო

მკვიდრს, და ამას კიდევ რომ მივუმატოთ აბრეშუმი, რომელსაც ყოველი ოჯახი თავისი საჭიროებისათვის ამზადებს... ყოველივე აქედან გამომდინარე, განა შეიძლებოდა გვეპოვნა უფრო ბედნიერი ქვეყანა?...

... იბერიელი (იმერელი) ღარიბია, მაგრამ სიამაყე აიძულებს მას, რაც აქვს, იმითაც სტუმართმოყვარე იყოს; არასოდეს ნაცნობი ან სახელოვანი მგზავრი მის სახლს ისე ვერ ჩაუვლის, რომ ბიჭებმა კვერცხები, ხილი, თაფლი და ღვინო არ დაახვედრონ და, თუ სტუმარი წასვლას დააპირებს, აიძულებენ ან ცოტა გასინჯოს, ანდა თან წაიღოს“...

კახეთის ნაწილებიდან იგივე ავტორი გამოყოფს ალავერდს, რომელიც ყოფილა „ნაყოფიერი და კარგად დასახლებული მხარე; აქ ბევრი ეკლესიაა, ჰყავთ მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსები და ბერები. აქეთ ძალზე კარგი ღვინო, რომელიც მთელ კახეთში საუკეთესოა. ერთადერთი ღირსშესანიშნავი პუნქტი აქ არის თელავი (ცაცხვების ქალაქი), სამხაგად გამაგრებული და ზარბაზნებით შეიარაღებული მტრისთვის აუღებელი ციხე. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. თითოეული მათგანი მაღალი მტკიცე კედლითაა შემოვლებული და ოცდაათი ფუტი სიღრმისა და ასთვრამეტი ფუტი სიგანის თხრილითაა გარშემორტყმული. შუა და ყველაზე დიდი ციხე ეკუთვნის მეფე ერეკლეს, ამიტომაც მას ჰქვია ბატონის ციხე... მესამე კი – ვახვანიშვილების შთამომავლებს. ამ უკანასკნელი გვარიდან არის ქართველი ბერი გაიოზი, რომელიც თორმეტი წლის მანძილზე რუსეთში სწავლობდა და 1780 წელს დიდი ცოდნით შეიარაღებული საქართველოში დაბრუნდა და თელავში სკოლა დააარსა. მისმა დაუღალავმა სიბეჯითემ და გასაგებმა სწავლებამ გაუღვიძა მის თანამემამულეებს ნიჭი და ზარბი ცნობისმოყვარეობა, რათა ისინიც განსწავლულნი გამხდარიყვნენ... თელავიდან ჩრდილო-დასავლეთით კახეთი ყველაზე დასახლებულია... აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია პუნქტი ახმეტა, სადაც ძალიან კარგი, მაგარი ღვინო, საუკეთესო ყანები და ძალზე შეძლებული მაცხოვრებლები არიან“.

ქართლის ნაწილებიდან რაინეგსი მუხრანს ასე ახასიათებს: „სამფლობელო მუხრანი თავისი შავი, ძალზე ნაყოფიერი ლავაფერფლიანი ნიადაგის გამო აღნიშვნას იმსახურებს. აქ მოჰყავთ ხორბლის, ქერისა და ფეტვის წარმოუდგენლად მდიდარი მოსავალი; თავადი მუხრანბატონი მარწმუნებდა, რომ ქერი და ხორბალი არასოდეს ოცდაათზე ნაკლები არ აიღება, და რომ მან ერთხელ ორმოცი მოსავალიც კი ნახა“.

რუსეთის სამხედრო ისტორიკოსი ვ. პოტო, გიორგი V გურიელის ვაჟზე – ქაიხოსროზე წერდა, რომ მან XVIII ს-ის 80-90-იან წლებში გელათში სასულიერო მოღვაწეობისათვის სწავლების კურსი გაიარა. მან იქ „იმ დროისათვის საუკეთესო განათლება მიიღო. ის მრავალ ენაზე ლაპარაკობდა და დედანში კითხულობდა ლათინ და ბერძენ ავტორებს“.

1820-24 წლებში საქართველოში იმყოფებოდა საფრანგეთის მეფის კონსული გამბა. გურიის (მხარეა დასავლეთ საქართველოში) შესახებ მას ჩაუწერია: „გურიის ხალხს... აქვს იგივე ადამ-წესები, რაც სამეგრელოში მცხოვრებ ხალხს. აქაური ადამ-წესები არაა მეტისმეტად მკაცრი და არც ხალხია ისეთი ზნედაცემული, როგორც ეს შარდენის დროს იყო. გურიის ხალხი ამ ხნის მანძილზე მეტად გაკეთილშობილებულა. გურიაში მისდევენ

Admiranda de Rege Georgio à Christo Jesu coronatu
 Habitu pro sermo à Cantua Georgiana ibi Cum processu in Templo multi Capite dicitur de uoluntate à Glo
 qualem huius uisibile non spauit inderquam uoluntate erat ibi dicitur Corona saluati uoluntate pro uoluntate que ponda
 et super huius uisibile uoluntate uoluntate uoluntate al pouda dicitur in huius uoluntate uoluntate
 uoluntate in qua Ecclesia uoluntate etiam Imago Christi uoluntate coronatus ipsum Regem.



Dicono ancora che sopra le spalle destra habbia un segno di Croce questo si dice publicamete
 in quelli Regni ie non l'ho ueduto ma hebbe curiosita di domandarlo al medesimo Re
 quando lo curai inferno. ma poi non li dissi altro.
 Re Giorgiano è detto dalli Orientali Meppe m̄tis gorgiani fanni che uol dire
 Re coronato da DIO et è in ueneratione grande.

Roxlras

მეფე ბაგრატო

მევენახეობას, მოჰყავთ სიმინდი, ფეტვი, თამბაქო, ალაგ-ალაგ – ბამბა, აწარმოებენ მცირეოდენ აბრეშუმსაც... გურიაში აწარმოებენ ცვილსა და თაფლს. ეს უკანასკნელი ორი სახისაა: ერთი წაავაგვს იტალიის საუკეთესო თაფლს, მეორე კი მათრობელაა და ამ თვისებას იგი იელის ყვავილისგან იძენს“...

იგივე ავტორი იმერეთში მოგზაურობისას შენიშნავს: „კაკლის ხე, თავისი მშვენიერი ფერითა და სილამაზით, საუკეთესო მასალაა. იგი საკმაოდ დიდი რაოდენობით იგზავნება ტაგანროგში, ოდესაში და თვით კონსტანტინოპოლშიც კი... სულ მალე თავად როსტომ ჩხეიძის საუცხოო კარმიდამოში აღმოვჩნდით... თავადმა მშვენიერი სადილი დაგვახვედრა და უდიდესი თავაზიანობით მიგვიღო. მან ჩვენს მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერების დასტურად ძველი ღვინის ორი ქვევრი გაგვიხსნა. ღვინო ძალზე მოგვეწონა; მას შამპანის წითელ ღვინოებთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო. თავადი როსტომი აჯამეთის მოსახლვრე სოფელ დიძის ბატონია. აქ დაახლოებით ორმოცი სახლია და ორასი მაცხოვრებელი... სახელი დიძნი მოგვაგონებს ციხის სახელწოდებას, რომელიც იესო ქრისტეს დაბადებამდე სამი საუკუნით ადრე ააგო ფარნავაზმა, საქართველოს პირველმა მეფემ შიდა ქართლის ტომიდან...“

საინტერესოა გამბას დაკვირვებები იმერულ ყოფაზე: „სიმონეთის მოურავის სახლის ავეჯი შედგებოდა თათრული ნოხებითა და ბალიშებით გაწყობილი ტახტებისა და რამდენიმე გრძელი სკამისაგან. სადილი, რომელიც მან გაგვიმართა... კერძების სიმრავლით გამოირჩეოდა. ღვინო საუცხოო გახლდათ და ბლომდაც მოგვართვეს. იმერლების სადილი კარგა ხანს გრძელდება, რუსების სადილისგან განსხვავებით. რუსების კერძები იმდენად უბრალოა და საწოლის მოწყობილობაც ისეთი მარტივი აქვთ, რომ ამ ხალხს მე პირადად ევროპაში ყველაზე უპრეტენზიო ხალხად ვთვლი...“

მოურავის შინამოსამსახურეთაგან... ქალები აბრეშუმს რთავდნენ და მისგან ქსოვილებს ქსოვდნენ. ზოგიერთი მათგანი ბამბას გრუნდა; ზოგი კი გარეული ჯიშის მსხალსა და ქლიავს ჭყლეტდა და მათი მურაბისმაგვარი ფაფისაგან მჟავე მასას ამზადებდა. მას მზეზე ახმობენ და ზამთრისათვის ინახავენ...

იმერლები სამეურნეოდ დაბლობს იყენებენ, მაგრამ სახლ-კარად მაღლობ პლატოებს ირჩევენ წყაროებთან ახლოს. ციებისაგან თავის დასაცავად ამ წინდახედულობის გარდა... სახლებში ცეცხლი დღედაღამ უნთიათ. ეს ჰაერის გაწმენდის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა და, ამასთანავე, მიწის სინესტესაც შთანთქავს... ხორცს მაინცდამაინც არ ეტანებიან; ძალზე უყვართ მჟავე. ღვინოს ბევრს სვამენ. მათი ტანსაცმელი, განსაკუთრებით კი თხის ბეწვისაგან დამზადებული ქეჩის მოსასხამები ტემპერატურის მკვეთრ დაცემას მათ იოლად გადაატანინებს ხოლმე. ამის გამო მათ ციება არ ემართებათ. სწორედ ამან შეუნარჩუნა ამ ხალხს სილამაზე და სილაღე, რის გამოც მათ ადამიანთა მოდგმის ნიმუშად თვლიან...

ბარაკონი რაჭის მაზრაში შედის, რომლის მცხოვრებნი იმერლებს შორის ყველაზე შრომისმოყვარენი და გამჭრიახნი არიან. მკისა და რთველის დროს ქალიშვილები და ცოლები მამაკაცებს ეჯიბრებიან თავგამოდებულ შრომაში, რომელსაც მუდამ გამამხნევებელი სიმღერა და შემახილები ახალისებს. მე მოწმე გახლდით მათი შრომაში გაჯიბრებისა და ვერც გამიგია, მათ ორგანიზმზე, განსაკუთრებით გულზე, როგორ არ ახდენს გავლენას

ესოდენ ხანგრძლივი, ორმაგი ჯაფა. გლახკაცთა უმრავლესობა დაუფლებულია ამა თუ იმ ხელობას. ზოგი მათგანი ვაკის მაზრაში ნაყიდი ბამბისაგან ქსოვს ტილოს, საუცხოოდ დებავს მას ველურ ენდროში, რომელიც ბუნებრივად ხარობს მთელს იმერეთში. ზოგი უხეშ მაუდს ამზადებს, ხოლო მატყლს შოულობენ ქართლში, გორის მაზრაში, სადაც თავიანთი პროდუქცია ჩააქვთ და ცვლიან მატყლში“.

1832 წელს განეკუთვნება ბარონ ტორნაუს შთაბეჭდილებები თბილისზე: „რაც შეეხება ძველ თბილისს, უეჭველად ეს ნაწილი იყო ყველაზე სანიაზო და მხატვრული მხარე... ამ ოღროზოლო ქუჩებში დიდიდან საღამომდე ვაჭარ-ხელოსანთა შორის ათასნაირ კილოკავსა და შეძახილს გაიგონებდა კაცი. ქართველები, სომხები, თათრები, ლეკები, ირანელები, ყაბარდოელები, რუსები, გერმანელები – ყველანი, თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი, წარმოადგენდნენ რაღაც აჭრელეულ ხალხს. მიუხედავად იმ ხანჯლისა, რომელსაც კავკასიელი წელიდან არასოდეს არ იშორებს, ქურდობა და მკვლელობა ბაზარში არ გაგონილა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ქართველი, რაგინდ ღარიბიც იყოს, უღვინოდ პურს არ გატეხს, მე მათ შორის იშვიათად შევხვედრივარ ლოთებს. ქართველი ხალხი კეთილია, გულახდილი, გამბედავი, უდარდელი, არ არის კარჩაკეტილი, უყვარს ქეიფი და მეომრობა. მრეწველობა და ვაჭრობა ქართველების საქმე არ არის...“

1836-1837 წლებში ინგლისელი მოგზაური ო. სპენსერი საქართველოზე წერდა: „... ჩვენ უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ შორს არაა ის დრო, როცა ამ მშვენიერი ბუნების მფლობელმა ხალხმა ხელი უნდა გამოიღოს, იარაღით აღიჭურვოს და გაილაშქროს დამპყრობელთა წინააღმდეგ, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასე აფერხებდნენ მის წინსვლას. ნუთუ არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ეს მშვენიერი ქვეყანა მაგნიტივით მიიზიდავს უამრავ ტურისტს, როცა განთავისუფლდება?... ამ უზარმაზარ მთათა ტალღებში იგრძნობა ამ მთის ხალხის სიმამაცე, რომელმაც შეძლო, წინ აღსდგომოდა ისეთ ძლიერ მტერს, როგორიცაა რუსეთი – ჩრდილოეთის ეს მძვინვარე დესპოტი, რომლის სახელის გაგონებაზე თურქეთისა და ირანის სახელმწიფოებშიც კი თრთიან...“

სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის პროვინციებში რუსეთის ავტორიტეტი ძალზე საეჭვოა. რუსეთმა კარგად იცის, რომ, სანამ დაღესტანისა და ჩერქეზეთის მოსახლეობას ებრძვის, ოდნავი იერიშის მიტანაც არ შეიძლება ხალხის თავისუფლებაზე, ვინაიდან იმწამსვე იფეთქებს აჯანყება. ამას კი მოჰყვება საქართველოს (ე. ი. რუსეთის ამ პროვინციის) დაკარგვა, რომელიც თავისი ადგილმდებარეობით დანარჩენი ამიერკავკასიის სამფლობელოებისაკენ ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. ამის გამო რუსეთს დღემდე ვერ გაუბედავს თავისი თვითმპყრობელური მანქანის ამუშავება და სახაზინო და საპასპორტო სისტემის დანერგვა“...

1836-1844 წლებში საქართველოში იმოგზაურა გერმანელმა ბოტანიკოსმა კ. კონმა, რომელიც გურიის შესახებ აღნიშნავდა: „მართალია, გურულები ინტელიგენტები არ ჩანან,

მაგრამ მეგრელებთან შედარებით უფრო შრომისმოყვარე და მუყაითი ხალხის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ჩვენ შეგვხვდა რამდენიმე სოფელი, რომლებიც საკმაოდ კონტად გამოიყურებოდა. მათ გარშემო სიმიინდისა და ფეტვის ნათესები მოჩანდა... „კახეტისსკის“, ანუ კახური ღვინის (კახეთი აღმ. საქართველოს პროვინცია) შემდეგ ამიერკავკასიაში ყველაზე მეტად აფასებენ გურულ ღვინოს... ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დავინახეთ, როდენ კარგი და მაგარი გამოდგა ამ იშვიათი ჭურჭლიდან (ჭური) ამოღებული ღვინო, მიუხედავად იმისა, რომ კარგად დაყენებული არ იყო... ჩვენ გვიამბეს, რომ გურული ღვინო თბილისშიც კი ჩააქვთ... იქაური მცხოვრებნი: ახალგაზრდა თუ მოხუცი, ქალი თუ კაცი, ძალიან ბევრს სვამენ. გვითხრეს, რომ ახალდაბადებულ ბავშვსაც კი... ცოტა ხნის შემდგომ დედის რძესთან ერთად, დროდადრო, ცოტ-ცოტა ღვინოსაც ასმევენ“.

ავტორს აჭარაც უნახავს და დაუწერია: „აჭარლები საყოველთაოდ არიან ცნობილი თავიანთი მამაცობით და სილამაზით... უმთავრესად ლამაზი მამაკაცები გვხვდებოდნენ. ტანზე კარგად მორგებული ტანსაცმელი... ჩამოსხმული სხეულის ყოველ ნაწილს გამოკვეთდა. ლაზები თავიანთ მონათესავე მეგრულ და იმერულ მამაკაცებზე ცოტათი უფრო დაბალი ტანისა და ნაკლებ მხარბეჭიანები ჩანან. მკვირცხლები არიან და სწრაფად მოძრაობენ, სახეც უფრო მხიარული გამომეტყველებისა აქვთ... გული დაგვწყდა, რომ ქალები და გოგონები ჩადრით დადიან და მათი სხეულისა და სახის გარჩევა ვერ მოვახერხეთ... ქართველი მომღერალი, პროვანსალელი მომღერალივით, გარდა მაყურებელთა მადლობისა, არავითარ გასამრჯელოს არ იღებს... მათმა დაკვრამ და სიმღერამ გაგვაოცა. ჩვენ ისეთი სიამოვნება მივიღეთ იმ საღამოს, როგორსაც გერმანული მუსიკის კონცერტებიდან ვღებულობთ ხოლმე“...

კონი კახეთის შესახებ შენიშნავს: „ქვეყანა, მიუხედავად განუწყვეტელი საფრთხისა... უფრო გაშენებულია, ვიდრე რომელიმე სხვა მხარე ამიერკავკასიაში. სოფელი ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ვერ გაიგებდი, სად თავდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე: მთელი მიდამო, განსაკუთრებით შილდიდან, ერთ გაბმულ ვენახს წააგავდა... შემოგვეგება თავაზიანი მამაკაცი რამდენიმე ქართველის თანხლებით და ლამის გასათევად სახლში მიმიპატიჟა. ეს კავკასიელების ნამდვილი სტუმართმოყვარეობის კიდევ ერთი მაგალითი იყო... საქართველოში სტუმრები, ჩვეულებრივ, მარანში მიჰყავთ. ეს ის საპატიო ადგილია, სადაც ხშირად იმართება ღვინო. გარდა იმისა, რომ აქ იწურება და მზადდება ღვინო, ღვინის ჭურებიც... მარანში ინახება... საიდანაც ღვინის დროს იოლად შეიძლება სასმელის ამოღება... ღვინოს აქაც, როგორც მთელს ამიერკავკასიაში, არომატი აქვს, მაგრამ ძალიან მაგარია. აქ, ჩვეულებრივად, მხოლოდ წითელ ღვინოს შეხვდებით... ჩემთვის გამოცანად იყო ქცეული, მიუხედავ ღვინის დამზადების პრიმიტიული წესისა, მაინც ასეთი კარგი როგორ გამოდიოდა სასმელი...“

თუშების შესახებ ავტორი წერს: „გამიხარდა, რომ შესაძლებლობა მომეცა ამ გვირი, მცირერიცხოვანი ხალხის ნაწილი მაინც გამეცნო. ლეკებს მათი განსაკუთრებით ეშინიათ... თუშები 1000 ოჯახისაგან შედგებიან, რომლებიც ოთხ ძმობაში არიან გაერთიანებულნი... თუშები საშუალო ტანის, მაგრამ ძალიან მაგარი აგებულებისა არიან. მათ მკვეთრი, მაგრამ სწორი სახის ნაკვთები აქვთ, იმერელთა მსგავსად, უმეტესად კენიანი ცხვირი აქვთ და

მრგვალი, მომცრო თვალები, გამჭოლი მზერით... მოსავლის აღების დრო იყო. დაახლოებით ას ორმოცამდე ადამიანს მოეყარა თავი (მათ შორის ქალებსაც და ბავშვებსაც) ბატონისათვის პურის ყანის მოსამკვლად... თავადის ოჯახი, თავისი იქ ყოფნით, მუშაობის ხალისს მატებდა ხალხს. ეს ყოველივე დღესასწაულს უფრო წააგავდა, ან წარმოდგენას... ყველგან მზიარულება სუფევდა, რომელსაც კიდევ უფრო ზრდიდა ხმაურიანი მუსიკა, განსაკუთრებით სტვირი. თითოეული მათგანი მთელი გულით და სულით მღეროდა... სამხარი მართლაც დღესასწაულს მოგაგონებდათ, რამაც ნამდვილად გამახარა და მასიამოვნა. ასეთ ბევარას არ ახლავს სიძულვილი, რომელსაც აქა-იქ ადგილი ჰქონდა... გერმანიაში... თავადის ოჯახიც გარეთ მიირთმევდა სამხარს. უზარმაზარი კაკლის ხის ჩრდილში დიდი ჭრელი სუფრა გაეშალათ... სადილი ჩინებული ნასვრეტებიანი ყველით დაიწყო, რომელსაც ახალი კიტრები მოჰყვა. შემდეგ რიგრიგობით მოჰქონდათ ჩახოხბილი, ცხვრის ხორცი, თევზი და ბოლოს სხვადასხვა შემწვარი კერძი. შიგადაშიგ მადის შესანარჩუნებლად სურნელოვან მწვანილს შეექცეოდნენ...

ღვინო რომ არ დააკლდებოდათ, ეს თავისთავად ცხადი იყო. მას... გრძელტარიანი ვერცხლის აზარფემით აწვდიდნენ ერთმანეთს... ამის გარდა, ჯიხვის რქის ყანწებიც ჰქონდათ... ჩემი თავაზიანი მასპინძელი ძველი ქართული საგვარეულოს შთამომავალი იყო... მისი აგებულია გამაგრებული რეზიდენცია მატანში. ეს უკანასკნელი მოხერხებულად იყო გაწყობილი და ნაწილობრივ ჩვენი ძველი რაინდების სახლებს მოგვაგონებდა... უკეთეს მდებარეობას ვერც ინატრებდა კაცი. იგი ნაწილობრივ მწვანით იყო დაფარული და კედლებით იყო გარშემორტყმული. მათს უკან კი აღმართულიყვნენ ყინულითა და თოვლით დაფარული მწვერვალები“.

მდინარე ივრის სათავეებში, საძოვრებზე ნანახ სურათს კოხი ასე აღწერს: „აქ მწყემსები შემოგვხვდნენ თავიანთი ცხვრის ფარებით და შემოგვთავაზეს, ღამე მათთან გაგვეთია... ბედნიერად ვიგრძენი თავი, როცა ვასშმაღ და დილით ახლად მოწველილი რძე მოგვართვეს. ამ სიმაღლეზე ყოფნამ შვეიცარია გამახსენა, სადაც ხშირად გამითენებია ღამე მწყემსებთან მაღალ მთებში. აქ მწყემსები მთელი თავიანთი ოჯახებით იყვნენ წამოსულნი და პატარა, წიფლის ტოტებით დაფარულ ქონებში ცხოვრობდნენ. ქოფაკების მთელი ხროვა ღამით ადამიანებსა და საქონელს დარაჯობდა“.

გერმანელმა მოგზაურმა მორის ვაგნერმა საქართველოში მოგზაურობის (1843-1846) შთაბეჭდილებებში თბილისის შესახებ ჩაწერა: „ცნობილმა მოგზაურმა მიუნხენიდან – ჰალბერგმა, რომელიც ჩემთან ერთად ნახულობდა ამ საბაზრო მოედანსა და წარმოუდგენელ ჭყლეტას, და ინტერესითა და გაოცებით უყურებდა სხვადასხვა კოსტიუმებში გამოწყობილ არაჩვეულებრივად მხატვრულ ფიგურებს, აქლემებს, უცხო საქონელს და ნაირნაირ საბაზრო სცენებს, ერთხელ თქვა, რომ არსად, გარდა კაიროს ბაზრისა, არც აღმოსავლეთსა და არც დასავლეთში სხვადასხვა ხალხების ასეთი მიმზიდველი აღრევა არ უნახავს...“

სიონის კათედრალში მთავარი საკურთხეველი უხვადაა მორთული ოქროთი, ვერცხლით და წმინდანთა ფერადი ხატებით; სანთლების ბრწყინვალეობა ფანტავს ტაძრის ბუნებრივ სიბნელეს. გუნდი, რომელიც მთავარი საკურთხეველის უკან არის მოფარებულში და თავისი სასიამოვნო ხმებით ჰყვება მღვდლის მჟღერ ძლიერ ბანს, მეტწილად შედგება... ბავშვებისა-

გან, რომელთაც პატარაობიდანვე ასწავლიან საეკლესიო გალობას, როგორც კი მცირეოდენ ნიჭს შეამჩნევენ. ამ დამალული მგალობლების ნამღერი გაცილებით მომეწონა, ვიდრე რომში პეტრეს ეკლესიის გუნდისა...

აქაურ აბანოებს გამოყენების მხრივ ბევრი საერთო აქვთ კონსტანტინოპოლის, ბურსასა და აღმოსავლეთის სხვა დიდი ქალაქების აბანოებთან. ოღონდ მე მგონია, რომ ქართველი აბანოს მსახურნი მობანავთა ხევისა და კიდურების დაჭიმვის (დაზღვევის) ხელოვნებას მეტად არიან დაუფლებულნი. ვინც ამ იშვიათი მანიპულაციის პირველი შიში გადაიტანა და მიეჩნია აღმოსავლური ბანაობის წესს, დაინახა, რომ ეს უფრო ძალის მომგვრელია, ვიდრე ევროპაში და ყოველ კვირა რამდენიმე საათით უვარდება ხელში ამ აბანოს ხელოვანთ, რომლებიც ტფილისში ალბათ თავისი სამედიცინო მეცნიერებით უფრო ბევრ საოცარ ცდას აყენებენ, ვიდრე რუსეთის იმპერიის მთელი განსწავლული სამედიცინო პერსონალი“.

ავტორი იმერლების გამო აღნიშნავს: „ქუთაისის იმერელ მოსახლეობაში ამოიცნობა ქართული ძირითადი ტიპი, მაგრამ სახის ნაკეთები გამომეტყველია და კეთილშობილი. იმერელი მამაკაცებისა და ქალების სილამაზე განთქმულია. მათი სწორი, თხელი, კეთილშობილი ფორმები სხეულის ნამდვილი სანატურო მოდელებია... ასევე სახის სილამაზით მსოფლიოს ცოტა ხალხები თუ შეედრებიან ძველი კოლხეთის მაცხოვრებლებს – იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის ხალხებს. თვით ამაყი ჩერქეზი მამაკაცებიც კი უკან დგანან... უღარიბეს ქოხში ხანდახან შეხვდები ჭრელი ძონძებით დაფარულ ქალს, რომლის მშვენიერი სხეული, მარმარილოში გამოკვეთილი, არაფრით ჩამოუვარდება პიტის სასახლეში ვენერას ქანდაკებას... თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა პირველ ყოვლისა იმერელ დიდებულებს უნდა აწამებდეს, რადგან ჩრდილოელი დამპყრობლები გარეგნულად და ბუნებრივი ნიჭიერებითაც ბევრად ჩამორჩებიან მათ...“

ვაგნერი იმერეთის ბუნებას აღწერს: „ყველაზე საპატიო ფიგურა კოლხეთის ამ ხელუხლებელ მცენარეულში არის ვაზი. აქ არის მისი სამშობლო; აქ აძლევდა ის ყოველ დროს მოსახლეობას გამაგრილებელ ნაყოფს და სასმელს; აქედან გავრცელდა ის მცირე აზიასა და ევროპაში... კოლხური ვაზი გვხვდება მთელი სიმძლავრით, ბარაქით და სიდიდით, როგორსაც დასავლელი ვერც იფიქრებდა. იმერეთის ლანდშაფტის განსაკუთრებული მიმზიდველობა იმაშია, რომ ეს დიდებული, უძველესი ტყეები უცვლელად არაა გაბატონებული ყველგან... იმერეთში ეს ტყეები ბევრ ადგილას გამეჩხერებულია და მდელოებითა და სიმინდის ყანებითაა შევსებული... გურია, სამეგრელო და იმერეთის დასავლეთი ნაწილი ძველი კოლხეთის ულამაზესი ნაწილებია, ბევრად ლამაზი ტრაპეზუნტის ლანდშაფტზე... ფაზისის მიდამოები, ფოთსა და მარანს შორის, შეიძლება უბრწყინვალესად ჩაგვეთვალოს ძველ სამყაროში“...

უცხოელთა შთაბეჭდილებები შეიძლება დავამთავროთ რომენ როლანის სიტყვებით: „მე მუსიკოსი ვარ, მრავალი ხალხის სიმღერა მომისმენია, მაგრამ ასეთ ბრწყინვალეობას არსად შევხვედრილვარ“.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლის საიუბილეო კომისია

ავტორი: დევი ბერძენიშვილი

რედაქტორი: შუქია აფრიდონიძე

დიზაინი: მაკა ჭიჭინაძე „გრაფიქს დიზაინ ენდ პრინტიინგი“

კომპიუტერული მაკეტი: რუსუდან ერისთავი

ფოტო: დონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატები. დაცული პალერმოს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში. მოწოდებულია ვახტანგ რურუას მიერ

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის საარქივო მასალები

გარეკანი:

სახელის ღვთისმშობლის კარედი ხატი. გელათი. XII ს. I ნახ. ორნამენტის დეტალი იშვიათი სილამაზის ქალი თანურია გიმატია. დონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატი საბახტარ ალიბეგაშვილი. დონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატი

პირველი გვერდი:

მამუკა ბატონიშვილი ჩოგბურთს თამაშობს. დონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატი

© საქართველოს ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ISBN 978-9941-0-0764-4

UDC (უაკ) 94(479.22)+94(=353.1) ბ-571